საქართველოს პარლამენტის

2016 წლის არჩევნების მონიტორინგის

შემაჯამებელი ანგარიში

2016 წელი

სადამკვირვებლო მისია განხორციელდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს შეხედულებებს.

©2016, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

სარჩევი

შესავალი 5
მოკლე მიმოხილვა 5
ძირითადი მიგნებები 8
არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები 9
სამართლებრივი ჩარჩო და კონტექსტი 9
საარჩევნო სისტემა 11
საარჩევნო ადმინისტრაცია 16
ამომრჩეველთა სია 24
წინასაარჩევნო გარემო 28
პოლიტიკური ფონი 28
არჩევნებში ჩართული მხარეები 33
საარჩევნო სუბიექტი 33
სახელმწიფო აუდიტის სამსახური 40
სადამკვირვებლო სპექტრი 41
მასმედია 42
თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისია 46
ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 47
ქცევის კოდექსი 48
წინასაარჩევნო საინფორმაციო კამპანია 49
არჩევნების I ტური 52
CDD-ის სადამკვირვებლო მისია 52
კენჭისყრის დღე 53
კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები 56
ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება 62
არჩევნების II ტური 64
წინასაარჩევნო გარემო 64
CDD-ის სადამკვირვებლო მისია 66
კენჭისყრის დღე 67
კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები 68
კენჭისყრის შედეგების შეჯამება 71
დასკვნა 72
რეკომენდაციები 73

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

შესავალი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც 2008 წლის 26 თებერვალს დაარსდა. ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებებია: არჩევნების მონიტორინგი, მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება, მათი ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმებისა და პროცესების შესახებ. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი 2012 წლიდან მოყოლებული აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესებს, კერძოდ კი ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი სახის არჩევნების მონიტორინგი: 2012 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, 2013 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები; 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები, 2014 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მორიგი არჩევნები; 2016 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შუალედური და აღმასრულებელი ორგანოს რიგგარეშე არჩევნები.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, დააკვირდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

CDD აკვირდებოდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღის (უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი და უბნის დახურვა) და არჩევნების შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას. არჩევნების დღეს მისია სრულად ფარავდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებს. სადამკვირვებლო მისია საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად. ორგანიზაციის პრინციპებია: კანონის პატივისცემის დემონსტრირება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურებზე, ასევე, განმეორებით არჩევნებსა და მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურზე.

არჩევნები შეფასდა ეუთოს ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან, ისევე როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის კუთხით.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე ინფორმაცია დაეხმარება საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს, გაანალიზონ მიღწევები და აღმოფხვრან არსებული ხარვეზები, რაც, ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

მოკლე მიმოხილვა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ვალდებულება დემოკრატიული არჩევნების ჩატარება იყო. სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედია და საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 8 ივნისს კონტრასიგნირებული საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის N03/06/02 განკარგულებით, 2016 წლის 8 ოქტომბერს[1] დაინიშნა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები.

საქართველოს მოქალაქეებს, 2016 წლის 8 ოქტომბერს, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 73 პარლამენტის წევრი, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემით 77 პარლამენტის წევრი პირდაპირი წესით უნდა აერჩიათ (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ). აღნიშნული არჩევნები საინტერესო იყო იმით, რომ არჩევნების დანიშვნამდე განხორციელდა მაჟორიტარული ოლქების საზღვრების დელიმიტაცია და ერთმანდატიანი მაჟორიტარული საზღვრები განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა განსხვავებული ტერიტორიული ერთეულები და ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები.

2016 წლის 4 ივლისს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ[2], საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისთვის, რეგისტრაციაში გაატარა განვითარებისა და დამოკრატიის ცენტრი (CDD) და მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, დააკვირდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს 73-ივე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 200 კაციანი სადამკვირვებლო მისიით, ხოლო 30 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას საქართველოს 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 100 კაციანი სადამკვირვებლო მისიით. მისია მოიცავდა წინასაარჩევნო პერიოდის, კენჭისყრის დღის (უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი და უბნის დახურვა) და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგს.

არჩევნების დღეს მისია სრულად ფარავდა საქართველოს ტერიტორიაზე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებს, სადაც ხმას აძლევდნენ ბრალდებულები და ნაკლებად მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პირები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საარჩევნო უბნებს, სადაც განხორციელდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების დათვლა. დაკვირვება განხორციელდა ასევე იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც სპეციალური სიების მეშვეობით მიმაგრებულნი იყვნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლით პუნქტით გათვალისწინებული სპეც სიაში შეყვანილი პირები.

სადამკვირვებლო მისია საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად. ორგანიზაციის პრინციპებია: კანონის პატივისცემის დემონსტრირება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი.

საარჩევნო პროცესების მონიტორინგისა და შესაბამის საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკვირვების განხორციელების მიზნით, ორგანიზაციასთან არსებული აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებისა და დამკვირვებელთა ქსელიდან შერჩეულ იქნა კვალიფიციური კადრები, მათ შორის: **გრძელვადიანი დამკვირვებლები** საქართველოს ცენტრალური და საოლქო

[1] საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის განკარგულება არჩევნების დანიშვნის შესახებ იხილეთ ბმულზე: https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/Documents/LegalActs?p=10380&i=1.
[2] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება №276/2016

საარჩევნო კომისიების მუშაობის პროცესზე დასაკვირებლად და **მოკლევადიანი დამკვირვებლები** (სადამკვირვებლო ჯგუფები), რომლებიც დააკვირდნენ საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობასა და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას. სადამკვირვებლო მისიის დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იყო ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, რის შედეგადაც მისიის დაკომპლექტების მაჩვენებელი გახლდათ 56% ქალი და 44% კაცი.

სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვეყნის გარეთ გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში მონაწლეობის გამოცდილების მქონე პირები, რომელთაც გავლილი აქვთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ორგანიზებით გამართული გრძელვადიან (LTO) და მოკლევადიან დამკვირვებელთა (STO) მოსამზადებელი ტრენინგები.

მონიტორინგის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა CDD-ის მიერ შემუშავებული დაკვირვების განხორციელების მეთოდოლოგია, სამივე დონის საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის პრინციპების, რეგიონალური სპეციფიკისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. მომზადდა დაკვირვების სახელმძღვანელო და დამკვირვებელთა სამოქმედო გეგმა, ლოჯისტიკური საკითხებისა და ეფექტური მენეჯმენტის გათვალისწინებით.

სადამკვირვებლო მისიის სათანადოდ მომზადების მიზნით, ჩატარდა გრძელვადიანი და მოკლევადიანი ტრენინგები მისიაში შემავალი ყველა რგოლისთვის (გრძელვადიანი და არჩევნების დღის დამკვირვებლები, მობილური ჯგუფები, სატელეფონო ოპერატორების ჯგუფი, იურისტების ჯგუფი და სხვ.). სადამკვირვებლო მისიის ყველა წევრის მაღალი პროფესიონალური და პირადი სტანდარტების შესაბამისად მოქცევის მიზნით შემუშავდა „დამკვირვებლის ქცევის კოდექსი“, რომელსაც დამკვირვებლების მიერ საჯაროდ მოეწერა ხელი.

არჩევნების მთელი პერიოდის განმავლობაში CDD-ის სათაო ოფისში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი: 790 333 111, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდებოდა ამომწურავი ინფორმაცია საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით.

სადამკვირვებლო მისიის მიგნებების, გეგმებისა და მეთოდოლოგიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ინფორმაციები პერიოდულად ქვეყნდებოდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდსა (www.CDD.ge) და სოციალურ გვერდზე (www.facebook.com/CDD). 6 ოქტომბრიდან ამოქმედდა **საარჩევნო მედიაცენტრი**, სადაც განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად, საზოგადოებას არჩევნებზე დაკვირკვების პროცესის შედეგებს წარუდგენდა. CDD-ის მიერ მედიაცენტრში ჩატარდა სულ 5 პრეს-კონფერენცია, მათ შორის ერთი არჩევნების წინა დღეს 7 ოქტომბერს, სამი არჩევნების დღეს – 8 ოქტომბერს და ერთიც შემაჯამებელი სახის პრეს-კონფერენცია არჩევნების მეორე დღეს. პრეს-კონფერენციები აგრეთვე გაიმართა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით.

CDD აქტიურად მონაწილეობდა არჩევნების თემაზე შექმნილ სხვადასხვა მუშა ჯგუფებში, მათ შორის: ტექნიკური მუშა ჯგუფის (TWG), უწყებათაშორისი კომისიის (IAC/IATF) და სხვ. ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად ხვდებოდნენ საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებს.

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ძირითადი მიგნებები

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით 2016 წლის 8 ოქტომბერსა და 30 ოქტომბერს კენჭისყრის პროცესმა შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში უმეტესწილად მშვიდ გარემოში, ორგანიზებულად და პროცედურების დაცვით ჩაიარა, შესაბამისად სადამკვირვებლო მისიის მიერ შეფასდა დადებითად. კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა საერთაშორისო ვალდებულებების და დემოკრატიული არჩევნების საყოველთაო პრინციპების შესაბამისად.

თუმცა, სადამკვირვებლო მისიის მიერ კენჭისყრის მიმდინარეობისას, ასევე უბნის დახურვისა და ხმების შეჯამების პროცესში, დაფიქსირებული იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები, რომელთა უმეტესობა ეხება ისეთ პროცედურულ საკითხებს როგორიცაა: კენჭისყრის პროცესის დაგვიანებით დაწყება; საკონტროლო ფურცლის ხარვეზებით შევსება; მარკირებისა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურის არასათანადოდ წარმართვა; გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა და სხვა.

პროცედურული ხასიათის დარღვევები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის/წევრის დაბალი კვალიფიკაციის, ნეიტრალურობისა და კომპეტენციის ნაკლებობიდან გამომდინარეობდა, თუმცა დაფიქსირებულ დარღვევებს კენჭისყრის ჩატარების პროცესსა და ამომრჩეველთა ნების თავისუფლებაზე გავლენა არ მოუხდენია. ამომრჩევლებს თავისუფლად შეეძლოთ მთელი დღის განმავლობაში საკუთარი ნების გამოხატვა.

ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით არჩევნების დღის პროცესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ საარჩევნო უბნებზე ჩაიარა ორგანიზებულად და მშვიდ გარემოში. თუმცა, დაფიქსირდა მცირე პროცედურული ხასიათის დარღვევები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რამდენიმე უბანზე მსჯავრდებულებმა ვერ გამოიყენეს კანონით მინიჭებული ხმის მიცემის უფლება, რაც განპიროვნებული იყო ძირითადად არჩევნებისადმი ერთგვარი უარყოფითი განწყობით ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობების არქონით. მნიშვნელოვანია პენიტენციურმა დაწესებულებებმა ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ხმის მიცემის უფლების მქონე მჯავდებულების/ბრალდებულებისათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების დამზადება - მიწოდება.

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ადგილი ჰქონდა აგიტაციას და „ოჯახური“ ხმის მიცემის ფაქტებს საარჩევნო უბნებზე.

სამწუხაროდ, კვლავაც პრობლემატური იყო საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები. ორგანიზაციის მიერ გამოვლინდა ფიზიკური ძალადობისა და დაპირისპირების შემთხვევები, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები, ასევე მათი აქტივისტები. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომ პოლიტიკური პაექრობის პროცესს მისცემოდა ეთნოსთაშორისი დაპირისპირების ელფერი. თუმცა, მსგავსი სახის ინციდენტებს საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი არ შეუფერხებია. აღნიშნულთან დაკავშრებით განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა მოუწოდა არჩევნებში ჩართულ მხარეებს შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და მიეცათ საარჩევნო ადმინისტრაციისათვის ნორმალურ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა, კანონიერი შედეგების უზრუნველსაყოფად.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ეგრეთ წოდებული "კოორდინატორების" მობილიზების შემთხვევები საარჩევნო უბნების

მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლებიც "ჟურნალში" კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერების აღრიცხვას აწარმოებდნენ. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა კვლავაც შესამჩნევი იყო, ეს უკანასკნელი კი არაპირდაირი აგიტაციის განხორციელების საშუალებაა, რაც ჩვენი შეხედულებით ზრდის საარჩევნო სუბიექტებს შორის პროვოცირებისა და დაპირისპირების რისკს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში ორი საარჩევნო უბნის დარბევის შემთხვევა. კომისიის წევრებს ძალადობით ჩამოართვეს ტელეფონი და მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები. მსგავსი მოქმედებები საფრთხეს უქმნის კენჭისყრის პროცესის კანონიერ და მშვიდ გარემოში ჩატარებას. ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო გარემოზე და აზარალებს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს.

სახელმწიფო ინსტიტუციების, პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, პრიორიტეტი საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაღრმავება უნდა იყოს, შესაბამისად მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეფექტიანი მოქმედებების წარმართვა, ძალადობრივი ქმედებების ეფექტური გამოძიება, ინციდენტში მონაწილე პირების დროული იდენტიფიცირება და მათთვის უმკაცრესი პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღსანიშნავია საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადება/საჩივრების განხილვის პროცესი. ხშირ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა განუხილველად დატოვეს ან არ დააკმაყოფილეს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარგენილი განცხადება/საჩივრები. იყო შემთხვევა როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიამ საერთოდ არც განიხილა კანონით დადგენილი წესით წარგენილი განცხადება/საჩივრები (ახალციხე), რაზეც განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა საჩივრით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეაგირებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისიები სარგებლობდნენ ფართო დისკრეციული უფლებებით, მაგრამ რიგ შემთხვევებში ვერ მოახერხეს კანონისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის თანმიმდევრულად გატარება, რაც მთლიანობაში საჩივრის განხილვის მექანიზმების მიუკერძოებლობისა და თანმიმდევრობის მიმართ არსებულ კითხვებს ბადებდა.

მეტნაკლებად მზარდი ტენდეციით გამოირჩეოდა საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობაც, რაც არამარტო საპარლამენტო, არამედ მომავალი არჩევნებისთვის დემოკრატიული პროცესების ხელისშემწყობი ჩარჩოს შექმნის პროცესს ემსახურება.

არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები

სამართლებრივი ჩარჩო და კონტექსტი

საქართველოს პარლამენტის არჩევნები საქართველოს კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსითა და კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ რეგულირდება. გარდა აღნიშნული ძირითადი აქტებისა არჩევნებს აწესრიგებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ და კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომიისიის (ცესკო) ბრძანებები და განკარგულებები. საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პერიოდში, აქტიურად ხორციელდება ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. ბოლო პერიოდში საარჩევნო სისტემა და მისი ცვლილება პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი დასახელებული პრობლემა გახლდათ, თუმცა პოლიტიკური კონსესუსის ნაკლებობამ და პოზიციების შეუთავსებლობამ აღნიშნული საკითხი დღესაც დღის წესრიგში დატოვა. მიუხედავად არაერთი ინიციატივისა, მათ შორის საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების ორი პროექტისა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვერ მოხერხდა.

თუმცა, დადებითად შეიძლება შეფასდეს 2015 წლის ბოლოს მიღებული ცვლილებები მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების გათანაბრებისა და მაჟორიტარი კანდიდატებისთვის დაწესებული ბარიერის ზრდის შესახებ. ცვლილებების მიღება განაპირობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებამ, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ ხმების თანაბარწონადობის პრინციპის[3] მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110-ე მუხლის პირველი პუნქტის ის ნაწილი, რომლითაც თბილისში საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებისთვის იქმნება 10 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. დამატებით, ცვლილებების განხორციელება მიზნად ისახავდა OSCE/ODIHR-ის და ვენეციის კომისიის დიდი ხნის წინ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

აღსანიშნავია, რომ OSCE/ODIHR და ვენეციის კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ეხება ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების საზღვრების ხელახალ დაყოფას და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების ბარიერს. მიუხედავად ამისა, მათივე რეკომენდაციით უმჯობესია საარჩევნო კოდექსი გარკვეულწილად გადაიხედოს, რათა ახალი ნორმების ეფექტიანობა, ისევე როგორც ეუთოს ვალდებულებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, უზრუნველყოფილი იქნას. კერძოდ, ცვლილებები არ განსაზღვრავს საზღვრების დადგენის კონკრეტულ მეთოდს იმ ზოგადი ნორმების ფარგლებში, რაც მოცემულია საარჩევნო კოდექსის 110-ე მუხლის პირველ პუნქტში, არ აზუსტებს ამომრჩეველთა რაოდენობების საშუალო მაჩვენებლიდან გადახრის კრიტერიუმებს და არ მოიცავს მომავალში საზღვრების გადახედვის საკითხებს.

ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით საპარლამენტო ინიციატივები. პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილმა პროპორციულმა და მაჟორიტარობის კანდიდატთა სიებმა კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა, რომ ქალების წარმომადგენლობა როგორც პარტიულ სიებში, ისე მაჟორიტარ კანდიდატებად კვლავ დაბალი რჩება.

აღსანიშნავია, პოზიტიური ტენდენცია გასულ წლებთან შედარებით, რომელიც ეხება გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნების შექმნის საკითხს, კერძოდ 2016 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 23-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დღისთვის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო

[3] ამ პრინციპის შინაარსი დეტალურად არის განხილული ვენეციის კომისიის „საარჩევნო ნორმათა კოდექსში“

უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა და სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის სპეციალური საარჩევნო უბნები არ შეიქმნა.

აგრეთვე დადებითად ვაფასებთ წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების მიმდინარეობისას ძალადობის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის ინიციატივას და პარლამენტის გადაწყვეტილებას ორგანულ კანონში ცვლილებების შესახებ. აღნიშნული ცვლილებების საჭიროება ბოლო პერიოდში არსებულმა არჩევნებში მონაწილეობისა და ნების თავისუფალი გამოვლინების უფლების დასაცავად საჭირო, სრულყოფილი საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობამ განაპირობა. თუმცა აღნიშნულმა ცვლილებებმა სრულად ვერ უზრუნველყო არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ძალადობის ფაქტების თავიდან აცილება. საჭიროა პოლიტიკური აქტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობით ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილი ძალადობრივი ქმედებები.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის აპრილი-მაისის თვეში შევიდა, ზემოთხსენებული ცვლილებები არჩევნებამდე ძალიან ახლო პერიოდში განხორციელდა და სამომავლოდ უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულ იქნას საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად არჩევნებამდე 6 თვით ადრე მაინც. სამწუხაროდ, საარჩევნო კანონმდებლობაში არჩევნებამდე ორი თვით ადრე შეტანილი ცვლილებები უკვე ტრადიციულ წინასაარჩევნო კომპონენტად იქცა, რაც ეწინააღმდეგება კარგ საარჩევნო პრაქტიკას..

საარჩევნო სისტემა

საქართველოს პარლამენტის არჩევის წესს განაზღვრავს საარჩევნო სისტემა, რომლის მთავარი მიზანი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევის უზრუნველყოფაა. სამართლიანად კი ისეთი შედეგია მიჩნეული, როდესაც გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც მეტი ხმა მიიღო (მაჟორიტარული პრინციპი), ან როდესაც პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი).

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არჩევნებში ჩართულ მხარეებს შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი დისკუსიები საარჩევნო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ძირითადად განიხილებოდა შერეული მაჟორიტარული და პროპორციული კომპონენტების სიტემიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ძირითადად მხარს უჭერენ საარჩევნო სისტემის მყისიერ ცვლილებას. უფრო მეტიც 2015 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სრული ოპოზიციური პარტიების სპექტრმა, საქართველოს პრეზიდენტის ჩართულობით კონსენსუსს მიაღწია, არსებული საარჩევნო სისტემის სრულად პროპოციული სისტემით ჩანაცვლების თაობაზე, თუმცა პარლამენტის მიერ შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, პარლამენტის სასესიო პერიოდის ბოლოს, მმართველ კოალიციაში შემავალმა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ პოზიცია შეიცვალა და ინიცირება გაუკეთა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების საჭიროების გარეშე, არსებული საარჩევნო სისტემის ე.წ. „გერმანულ

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

მოდელზე“ გადასვლას ითვალისწინებდა[4]. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო პარტიებს გაცხადებული ჰქონდათ საარჩევნო სისტემის შეცვლის სურვილი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო განხილვისთვის საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა ვერ მოხერხდა. საკანონმდებლო განხილვების პარალელურად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მოქმედი საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით შევიდა 3 სარჩელი[5].

საარჩევნო სისტემის ცვლილების მცდელობის მიუხედავად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები გაიმართა არსებული შერეული სისტემის პარალელური კენჭისყრის საფუძველზე, საარჩევნო ოლქების ახალი საზღვრებით. საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

აღსანიშნავია, ასევე რომ მაჟორიტარული კანდიდატებისთვის დაწესებული 30% - იანი ბარიერი გაიზარდა და მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებოდა საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა6 ნახევარზე მეტის (50%+1) ხმებს მიიღებდა. საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნებოდა მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელიც მიიღებდა არჩევნებში მონაწილეთა3 ხმების არანაკლებ 5 პროცენტს. თუ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩეული იქნებოდა როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეულად ჩათვლებოდა.

ამომრჩეველი სარგებლობდა ერთი ხმის უფლებით პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლებით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

წარმომადგენლობითი დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს და ხორციელდება თავისუფალი საარჩევნო სისტემის გზით არჩეული წარმომადგენლების მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს ეროვნულ დონეზე არჩეულ წარმომადგენლებთან უშუალო კონტაქტის საშუალება ჰქონდეთ, რადგან ასეთი გზით შესაძლებელი ხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება და მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებზე რეაგირება.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტური. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩეოდა, ინიშნებოდა არჩევნების მეორე ტური, რომელიც უნდა გამართულიყო პირველი ტურიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა (2 ნოემბრამდე).

მეორე ტურში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 2 კანდიდატს, რომლებიც პირველ ტურში სხვებზე მეტ ხმას მიიღებდნენ. თუ 2-ზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდებოდა ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატი ერთნაირი რაოდენობის ხმებს მიიღებდა, მეორე ტურში ყველა ზემოაღნიშნულ კანდიდატს ენიჭებოდა მონაწილეობის უფლება.

არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებდა. თუ კანდიდატები ხმათა ერთნაირ რაოდენობას მიიღებდნენ, არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც პირველ ტურში ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებდა. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, უნდა გამართულიყო ხელახალი არჩევნები.

---

[4] იხილეთ კანონპროექტი: http://info.parliament.ge/#law-drafting/11999

[5] სარჩელები N755; N761 და N763. დეტალურად იხილეთ ბმულზე: http://constcourt.ge/ge/court/sarchelebi

[6] არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება[7]. <u>აქტიური საარჩევნო უფლება</u> აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდებოდა 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საქართველოს საარჩევო კოდესით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეზღუდული აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა, გარდა იმ პირისა, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ამავე დროს, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის ა.გ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეზღუდებოდა საქართველოს მოქალაქეს, რომელიც:

- სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებული იყო პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- მხარდაჭერის მიმღებს, თუ იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებული იყო სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების[8] (22/06/2016) საფუძველზე ხმის მიცემის შესაძლებლობა შეექმნა ამომრჩევლებს, რომლებიც კენჭისყრის დღეს ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფ ამომრჩევლებს, რომლებიც იყვნენ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე ამომრჩევლებს, რომლებიც არ იდგნენ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლიდნენ სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

<u>პასიური საარჩევნო უფლება</u>, უკავშირდება საქართველოს მოქალაქის შესაძლებლობას არჩეული იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე. აღნიშნული უფლების წარმოსაშობად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სხვადასხვა ასაკი და მოთხოვნები, კერძოდ: საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევა შეეძლო საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა[9]. აგრეთვე საარჩევნო კოდექსი პასიური საარჩევნო უფლებისთვის პირდაპირ ადგენს ბინადრობის ვადებს, კერძოდ: საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება არჩეულიყო მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არცერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

ასაკთან ერთად ქართული ენის ცოდნა არის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ცენზი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სუბიექტი, რომელიც მიზანდ ისახავს გახდეს პარლამენტის წევრი. აღნიშნულმა მოთხოვნამ გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში, კერძოდ კი 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარალმენტის არჩევნებისათვის N71 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ წარდგენილ კანდიდატ ლეონიდ ჩერნოვეცკისთან დაკავშირებით.

---

[7] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-3 მუხლის ა პუნქტი
[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3320792
[9] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, აუცილებელია პარლამენტის წევრი სათანადო დონეზე ფლობდეს ქართულ ენას, რათა აქტიურად განახორციელოს სადეპუტატო მანდატის ფარგლებში მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

*მეტი სიცხადისა და სიზუსტის მისაღწევად კარგი იქნებოდა **კანონში შესწორების შეტანა ქართული ენის ცოდნის შეფასების მექანიზმების დანერგვით,** რომელიც სავალდებულო იქნებოდა პარლამენტის წევრობის მსურველი ყველა სუბიექტისათვის. მაშინ, როდესაც ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.*

პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 112-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის თანამდებობრივ მდგომარეობასთან შეუთავსებლობის საკითხს. საყურადღებოა და დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის ვალდებულება მოეხსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. რაც კონსტიტუციური სისტემის სტაბილურობისა და პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად გადაგმული პოზიტიური ნაბიჯია.

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები. საქართველოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის მთელი ქვეყანა განიხილებოდა, როგორც ერთი მრავალმანდატიანი (77 მანდატი) საარჩევნო ოლქი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის ქვეყნის ტერიტორია, ხმათა თანაბრობის პრინციპის გათვალისწინებით, დაიყო 73 ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქად[10].

2015 წელს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო შეძლებისდაგვარად ხმათა თანაბარწონადობა, ქალაქ თბილისის მუნიცი-პალიტეტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში შეიქმნა 22 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ხოლო საქართველოს დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალიტეტების გაერთიანების ან, პირიქით, გაყოფის, ან მუნიციპალიტეტთან/მუნიციპალიტეტებთან სხვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის/ოლქების მიერთების გზით შეიქმნა 44 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ხოლო 7 მუნიციპალიტეტის (საგარეჯოს, გურჯაანის, ხაშურის, საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტები) საზღვრები თანხვედრაში იქნა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებთან (სულ 73 მაჟორიტარული ოლქი).

საქართველოს პარლამენტის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის 73 საარჩევნო ოლქში, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შეიქმნა 3 634 საარჩევნო უბანი. არჩევნებისთვის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნების რაოდენობა 11-ს შეადგენდა. ამავდროულად სხვა სახელმწიფოებში (40 ქვეყანაში) შეიქმნა 55 საარჩევნო უბანი, ხოლო ავღანეთში 2 საარჩევნო უბანი (ბაგრამის და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნები).

[10] მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები არ იქმნება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები

2016 წლამდე პოლიტიკურ დღის წესრიგში მუდმივად იდგა საკითხი ე.წ. სპეც უბნებთან დაკავშირებით, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ძალებისათვის მანუპირების საგანს წარმოადგენდა. ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის რეკომენდაციით, საარჩევნო კოდექსში ნათლად უნდა ყოფილიყო მინიშნებული, რომ სპეციალური უბნების შექმნა უნდა მოხდეს მკაცრად გამონაკლის შემთხვევებში და რომ სადაც შესაძლებელია, სამხედრო ამომრჩეველმა ხმა მისცეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან იმ სამოქალაქო საარჩევნო უბნებზე, რომელიც მათი დისლოკაციის ადგილებთან ახლოს მდებარეობს.

2016 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 23-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დღისთვის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა და სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის სპეციალური საარჩევნო უბნები არ იქმნება.

"ზოგიერთი კატეგორიის მოსამსახურეთა ამომრჩეველთა სპეციალური სიის შედგენისა და საოლქო საარჩევნო კომისიისათვის წარდგენის, აგრეთვე მათი არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №410 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საყარაულო და სადღეღამისო განწესსა და საბრძოლო მზადყოფნის მორიგეობაში მყოფი მოსამსახურეები, რომლებიც ვერ ტოვებენ მუდმივი დისლოკაციის ადგილს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს სამხედრო ნაწილებთან/დაწესებულებასთან ახლოს განლაგებულ ჩვეულებრივ სამოქალაქო საარჩევნო უბნებზე.

აღნიშნული კატეგორიის ამომრჩეველები შეყვანილ იქნენ ამომრჩეველთა სპეციალური სიაში და მონაწილეობდნენ როგორც: საქართველოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, ასევე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ მოსამსახურე შესაბამისი დისლოკაციის ადგილზე განთავსებული იყო არჩევნების დღისათვის მუდმივი წესით, არჩევნების დღემდე არანაკლებ 6 თვით და არჩევნების დღიდან სულ მცირე 6 თვით ან მეტი ვადით, ან თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლიდა ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში არ იქნენ შეყვანილი, შესაძლებლობა ჰქონდათ ხმა მიეცათ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩვეულებრივ სამოქალაქო საარჩევნო უბნებზე, სამორიგეო საათების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №410 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, არჩევნების დღეს, ყველა განწესის/მორიგეობის ცვლა, შესაბამისი სამხედრო ნაწილის/ქვედანაყოფის მეთაურის ან დაწესებულების/ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ უნდა განხორციელდეს 13:00 საათამდე. აღნიშნულ მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაცით საიდუმლო გრიფი ედო.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში 10 გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბანი გაიხსნა. მათ შორის: N9 პენიტენციურ დაწესებულებაში (ერთი უბანი); N8 დაწესებულებაში (ორი უბანი); N16 პენიტენციურ დაწესებულებაში (ერთი უბანი); N17 პენიტენციურ დაწესებულებაში (ერთი უბანი); N5 და N6

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

დაწესებულებებში (ერთი უბანი); N15 და N19 დაწესებულებებში (ერთი უბანი); N14 დაწესებულებებში (ერთი უბანი); N2 დაწესებულებაში (ერთი უბანი) და N3 დაწესებულებაში (ერთი უბანი). აღნიშნულ საარჩევნო უბნებზე ხმას აძლევდა 1500-მდე ხმის უფლების მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული პირი და პენიტენციური დაწესებულებების 1100-მდე თანამშრომელი.

დამატებით სასჯელაღსრულების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, რომლებიც არჩევნების დღეს 24 საათიან სამუშაო ცვლაში იყვნენ და მსჯავრდებულთა ნაწილი ხმას აძლევდნენ გადასატანი ყუთის მეშვეობით მიმაგრებულ 11 საარჩევნო უბანზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია

დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს აკისრია. საქართველოში 3 დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციაა, რომელიც შედგება ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა - საქართველოს **ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო).** იგი უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი სისტემის საქმიანობის ორგანიზებასა და კონტროლს.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტების წესის მიხედვით შერეული ტიპისაა. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისია მუდმივმოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციაა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია დროებითი. საარჩევნო პერიოდში სამივე დონის საარჩევნო კომისია 13 წევრისაგან შედგება, მათ შორის 6 წევრი პროფესიული ნიშნით საჯარო კონკურსის საფუძველზე ირჩევა, ხოლო 7 წევრი პარტიული ნიშნით ინიშნება, რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიები ასახელებენ.

ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის“ თანახმად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არჩევნების სათანადოდ ჩატარება, ყველა დონეზე, დაწყებული ცენტრალური და დამთავრებული საუბნო საარჩევნო კომისიით, უნდა ჩამოყალიბდეს მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიები. მხოლოდ გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა და პოლიტიკურად მოტივირებული მანიპულირებისგან

დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის სათანადო ადმინისტრირებას, დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდიდან და დამთავრებული ხმების შეჯამების დასრულებით.

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არ შეცვლილა. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრებისა კონსერვატიული პარტიის, პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, პ/გ "გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის", „რესპუბლიკური პარტიის“, პ/გ თავისუფალი დემოკრატების“ და პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული თითო კომისიის წევრით დაკომპლექტდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია სრული დატვირთვით, ეფექტურად, გამჭვირვალედ და დადგენილ ვადებში მუშაობდა. საარჩევნო პროცესებში ყველა ჩართულმა მხარემ, საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა გამოუცხადა.

საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ახდენდა დაინტერესებული თუ არჩევნებში მონაწილე მხარეების ინფორმირებას საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. შესაბამისად იმართებოდა სხვადასხვა სახის შეხვედრები არასამთავრობო სექტორთან, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო მისიებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, რომელსაც მუდმივად ესწრებოდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის წარმომადგენელი.

ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ხდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის განთავსება და განახლება.

აგრეთვე დადებითად უნდა შეფასდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშესაწყობათ ორგანიზებული სხვადასხვა აქტივობები, რომლის მიზანი გახლდათ ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის უზრუნველყოფა (შშმ პირებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების, ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის ზრდის, საარჩევნო დოკუმენტაციის ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნის მიმართულებით).



2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისათვის მაჟორიტარული ოლქების მიხედვით ადაპტირებულ იქნა 1107 საარჩევნო უბანი (მათ შორის 271 თბილისში და 836 რეგიონში.) დამზადდა სპეციალური ხმის მიცემის კაბინები. სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის იდენტიფიცირებული საარჩევნო უბნებზე პორტატული კომპიუტერების გამოყენებით, გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ სპეციალური ვიდეორგოლი. უსინათლო ამომრჩევლებისთვის დამზადდა საარჩევნო ბიულეტენების დამოუკიდებლად შესავსები ჩარჩო/ფორმა, რომელიც გავრცელდა საქართველოს მასშტაბით 3 634 საარჩევნო უბანზე. მცირემხედველ ამომრჩევლებს, მიეცათ საშუალება, საარჩევნო უბანზე გამოეყენებინათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო, ლინზის ფურცელი.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ადგილების მიხედვით 12 ოლქში 344 საარჩევნო უბანი შექმნა (ქართულ - აზერბაიჯანული – 207 უბანი; ქართულ - სომხური – 133 უბანი; ქართულ - სომხურ - აზერბაიჯანული – 4 უბანი). საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ კომისიის წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 2 714 წევრი (მათ შორის, აზერბაიჯანელი - 1343, სომეხი - 1338, ოსი - 13, რუსი - 12, ავარიელი 7, უკრაინელი - 1).

ცესკოს ინიციატივით და აქტიური ჩართულობით არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა საარჩევნო პერიოდში გამჭვირვალობისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასევე არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად და კანონდარღვევების თავიდან ასაცილებლად, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს.



აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცესკოსთან არსებული სწავლების ცენტრის მიერ საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენის, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის მიზნით, წელს სამჯერ გამოცხადდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რაც გასულ წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (მეტჯერ განხორციელდა). თუმცა წინა წლების მსგავსად ძალზედ დაბალია გამოცდებზე გამოცხადებულთა და სერტიფიკატის მიმღებთა რაოდენობა. სერტიფიცირების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს ტერიტორიულად ხელმისაწვდომ ადგილებში (ოლქებში - რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით), შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობის გამოყენებით.

<u>საოლქო საარჩევნო კომისია</u> - საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობას მეტწილად დადებითად შევაფასებდით. საარჩევნო ოლქები მომზადებულნი შეხვდნენ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებას. გამომდინარე იქიდან, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო პერიოდში გადადიან შერეულ დაკომპლექტების წესზე, 8 ივნისს საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. რის საფუძველზეც ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრები 12 ივნისს აირჩია. ამავდროულად უფლებამოსილმა პარტიებმა ცესკოს დადგენილ ვადაში წარუდგინეს (არჩევნებამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა) 73-ივე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 4 იანვარს ცესკომ ცვლილებები შეიტანა „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულებაში“[11], რომლითაც განისაზღვრა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დააკვირდნენ საოლქო

[11] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3147209

კომისიის წევრთა არჩევის პროცესს. მოცემული ცვლილება ხელს უწყობს კონკურსის გამჭვირვალობას და დადებითად უნდა შეფასდეს.

ცესკოს სხდომაზე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევნის პროცესი ღიად მიმდინარეობდა და დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ ამ პროცესს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცესკომ კანდიდატთა დაუსწრებლად, მხოლოდ წარმოდგენილ საბუთებზე დაყრდნობით, გადაწყვიტა ყოველი კანდიდატის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან, რაც გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებდა. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესში გამოვლინდა პრობლემები, რომელიც უკავშირდებოდა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხს. მაგალითად, ცესკო-ს მიერ 2016 წლის თებერვალში კონკურსის საფუძველზე პროფესიონალ წევრებად შერჩეული საოლქო საარჩევნო კომისიების არაერთ წევრს პარტიული წარსული ჰქონდა, კერძოდ: 182 შერჩეული კანდიდატიდან 67[12] წარსულში პარტიის საარჩევნო კომისიებში დანიშნული წევრი იყო[13]. საარჩევნო კომისიების პროფესიონალ წევრთა შერჩევის ობიექტური მექანიზმების არარსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის პოლიტიკური მანიპულირებისა და ზემოქმედებისათვის, რაც ზიანს აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ადმინისტრაციული ორგანოს, რეპუტაციას.

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი გადახედვას საჭიროებს. გასაუბრება უნდა იყოს კონკურსის სავალდებულო ეტაპი. საჭიროა განისაზღვროს გასაუბრებისა და კანდიდატების შეფასების ობიექტური კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ყოველი კანდიდატის სრულყოფილად შეფასება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. სასურველია ის პირები, რომლებიც უახლოეს, მაგალითად, ბოლო ორ ან სამ არჩევნებზე იყვნენ პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული წევრები, არ დაინიშნონ პროფესიული ნიშნით საარჩევნო კომისიებში.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, გაიარეს სპეციალური ტრენინგები, რომელიც განხორციელდა ორ ეტაპად სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული რეგიონული ტრენერების მიერ:

- ტრენინგის I ეტაპი (27 აგვისტო - 4 სექტემბრი) - საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლება. განხილულ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა კენჭისყრის დღეს.
- ტრენინგის II ეტაპი (17 - 27 სექტემბერი) - საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლება. განხილულ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში.

ტრენინგებზე დასწრების კოეფიციენტი 94-96 % შეადგენდა. საარჩევნო სუბიექტებს შორის უფრო მეტად დაბალი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნული წევრების ტრენინგზე დასწრების მაჩვენებელი (84-86%)[14].

საარჩევნო კოდექსში 2016 წლის 22 ივნისს განხორციელებული ცვლილებების (N5438-IIს) შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის/სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებზე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობა წარმოადგენდა აღნიშნული წევრების დისციპლინური

[12] https://www.scribd.com/doc/306626207

[13] „საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის შეფასება“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, https://gyla.ge/en/post/saia-saolqo-saarchevno-komisiebis-shesarchev-konkurss-afasebs

[14] წყარო http://electionreforms.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

გადაცდომის საფუძველს, თუმცა ცესკოს მხრიდან არ იქნა გამოჩენილი შესაბამისი ინიციატივა, აღნიშნული საკითხით დაინტერესება (რისი უფლებაც კანონით ჰქონდა მინიჭებული) და კანონის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაში იყო გარკვეული ხარვეზები, რაც გამოიხატებოდა საარჩევნო უბნებიდან საარჩევნო დოკუმენტაციების მიღების პროცესის არასათანადო ორგანიზებასა და საარჩევნო დავების არასრულფასოვნად განხილვაში. გამომდინარე იქიდან, რომ საოლქო საარჩევნო კომისიას ცალსახად აქვს საგამოძიებო ფუნქცია, საარჩევნო დავების განხილვის პროცესში საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი ცალკეული სადაო შემთხვევა და რიგ შემთხვევებში დაჩქარებული წესით იქნა გადაწყვეტილებები მიღებული.

<u>საუბნო საარჩევნო კომისია</u> - საუბნო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან მათი ძირითადი ფუნქციაა არჩევნების დღის პროცედურების ჩატარება და ხმების დათვლა. საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილების ვადით დროებითა, ხოლო დაკომპლექტების წესის მიხედვით შერეული.

საუბნო კომისიების წევრთა პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩასატარებლად. საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციისთვის საუბნო კომისიების პროფესიონალ წევრთა შერჩევა ობიექტური კონკურსის მეშვეობით გამოწვევას წარმოადგენდა და წარმოადგენს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს (წინა არჩევნების მსგავსად) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიონალი წევრების შერჩევა უმეტესად ხდებოდა მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების და არა რაიმე ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის მიერ გასულ წლებში მომზადებული რეკომენდაციები ეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის რეფორმის საკითხს, თუმცა აღნიშნული მიმართულებით პოლიტიკური ნების არარსებობამ საკითხი ისევ დღის წესრიგში დატოვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის რეფორმაზე ამახვილებდა ყურადღებას იყო საქართველოს პარლამენტში არსებული საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი საარჩევნო კოდექსში რიგი სხვადასხვა კუთხით შესატანი ცვლილებების მომზადებისა და ფართო საარჩევნო რეფორმის განხორციელების მიზნით იყო შექმნილი. სამუშაო ჯგუფში პარლამენტის წევრები შედიოდნენ, მათ გარდა ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება და რეკომენდაციების წარდგენა სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეეძლოთ. სამწუხაროა ის გარემოება, რომ ინტერფრაქციული ჯგუფი დაიშალა ისე, რომ ეს საკითხი არც განხილულა.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 58-ე დღისა გამოაცხადეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი. კონკურისის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ცესკოს ვებ-გვერდზე. კონკურსზე მოქალაქეთა აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო თბილისში, ვიდრე რეგიონებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ექვსი წევრის არჩევა19 აგვისტოდან დაიწყო და 23 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდა (არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა). კომისიის წევრთა არჩევა ხდებოდა სახელობითი კენჭისყრით. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცესმა გამჭვირვალედ ჩაიარა, თუმცა შერჩევის პროცესი იყო დისკუსიებისა და კრიტიკის საგანი. კერძოდ,

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საუბნო კომისიების წევრების შერჩევა წარმოებდა წინასწარ შედგენილი სიების და არა განმცხადებელთა კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის მიხედვით. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იმასაც აცხადებდნენ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობაზე განმცხადებელთა სიები დგებოდა მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ აქტივისტების ოჯახის წევრებისგან და ნათესავებისგან[15]. რაც ეჭვქვეშ აყენებდა კომისიებში პროფესიონალი წევრების არსებობის საკითხს. მნიშვნელოვანია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევა მოხდეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიც არის პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია.

21804 ვაკანტურ ადგილზე კონკურსის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიებში შევიდა სულ 35 956 განაცხადი. შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა ჯამურად 3 634 საუბნო საარჩევნო კომისიის 21 784 წევრი აირჩიეს. 20 ადგილი დარჩა ვაკანტური, სადაც ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე მოხდა საუბნო კომისიის წევრთა არჩევა.

ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის[16] თანახმად არჩეულ პირთა შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსით, ბოლო სამ საერთო არჩევნებზე ერთხელ მაინც (2012 წლის საპარლამენტო, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები) მონაწილეობა ჰქონდა მიღებული არჩეულთა 56,1%-ს (12212 პირი - არჩეული იყო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ან დანიშნული - უფლებამოსილი პარტიის მიერ). დანარჩენი 43,9 % (9572 პირი) იყვნენ გამოცდილების არმქონე პირები ან პირები ვისაც რაიმე შემხებლობა გააჩნდათ საარჩევნო პროცესებისადმი.

აღნიშნული ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის 21784 წევრს შორის იყვნენ პირები, ვინც გასულ არჩევნებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ იქნენ დანიშნული წევრებად ამ წარმომადგენლებად. მართალია, ეს არ არის კანონის დარღვევა, მაგრამ კითხვები ჩნდება აღნიშნულ წევრთა პოლიტიკური თვალსაზრისით მიკერძოებლობასთან დაკავშირებით, რამაც საზოგადოებას შესაძლოა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა დააკარგვინოს.

დაფიქსირდა აგრეთვე შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის დროს არჩევანი გააკეთეს იმ პირებზე, რომლებსაც წინა არჩევნებზე გადაცდომების გამო ადმინისტრაციული სახდელები ჰქონდათ დაკისრებული.

უფლებამოსილმა პარტიებმა საოლქო საარჩევნო კომისიებს დადგენილ ვადაში წარუდგინეს (არჩევნებამდე არაუგვიანეს 46-ე დღისა) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება. სულ 7 უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნულ იქნა 25 438 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

სულ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების რაოდენობამ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პირველი ტურისთვის შეადგინა 47 341, მათ შორის ქალი – 33 056 (69.83%) და კაცი – 14 285 (30.18%). გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ 11 საარჩევნო უბანზე სულ არჩეულ/დანიშნულ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიის 134 წევრი, მათ შორის საარჩევნო ოლქის მიერ არჩეული – 67 და 7 უფლებამოსილი პარტიის მიერ დანიშნული – 67 წევრი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოწვევის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომა 8-9 სექტემბერს ჩატარდა, სადაც არჩეულ იქნა კომისიის ხელმძღვანელი პირები (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი).

---

[15] 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება http://www.isfed.ge/main/1131/eng/

[16] ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობის შესახებ http://cesko.ge/res/docs/20160904184726.pdf

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge







საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, 2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, უზრუნველყო სასწავლო პროგრამის მომზადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, რომელიც ჩატარდა 4 ეტაპად.

- ტრენინგის I ეტაპი (30 აგვისტო - 7 სექტემბერი) - საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ინსტრუქტაჟი, რომელიც ჩაატარეს რეგიონული ტრენერების მიერ მომზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა.
- ტრენინგის II ეტაპი (10 - 20 სექტემბერი) - საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლება. დასწრების კოეფიციენტი - 78%.
- ტრენინგის III ეტაპი (21 - 26 სექტემბერი) - საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივნის) სწავლება. დასწრების კოეფიციენტი - 94%.
- ტრენინგის IV ეტაპი (30 სექტემბერი - 4 ოქტომბერი) - საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლება, კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირება საარჩევნო უბნების განთავსების ადგილებზე. დასწრების კოეფიციენტი - 88.6%.

2016 წლის 27-29 სექტემბრის პერიოდში განხორციელდა დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისა და იმ წევრებისათვის, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს. საუბნო საარჩევნო კომისიის აზერბაიჯანულ და სომხურ ენოვან წევრებს ტრენინგი ჩაუტარდათ მათთვის გასაგებ ენაზე.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლება განახორციელეს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერებმა, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ბაზიდან და კონკურსის წესით იქნენ შერჩეულები. უნდა აღინიშნოს რომ ტრენერები გამოირჩეოდნენ მაღალი კვალიფიკაციით, მოტივაციითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომით. სასწავლო პროგრამა იყო ინტერაქტიული, კარგად შერჩეული და ყოვლისმომცველი, სრულად ასახავდა საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ პირველად 2016 წლის არჩევნებზე შემუშავდა სასწავლო მოდული, რომელიც შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ინფორმირებას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვა, კონფლიქტების მართვა და არჩევნების უსაფრთხოება. ახალი სასწავლო მოდულები შემუშავდა საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საარჩევნო სისტემების საერთაშორის ფონდს (IFES).

მნიშვნელოვანია გაგრძელდეს პროგრამები ტრენერთა კორპუსის შესაძლებლობების გაძლიერებასა და მომზადების მიმართულებით, ეფექტური ტრენინგების სისტემის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად კარგად ორგანიზებული ტრენინგებისა, საკმაოდ მაღალი იყო იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა, რომლებიც ვერ დაესწრნენ სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებს (ტრენინგების შესაბამისი ეტაპების გათვალისწინებით). მაშინ როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის[17] მიხედვით (მე-5 მუხლი) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია მონაწილეობდეს და ესწრებოდეს კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებსა და ტრენინგ / სემინარებს.

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1576858?publication=5

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge



საარჩევნო კოდექსში 2016 წლის 22 ივნისს განხორციელებული ცვლილებების (N5438-IIს) შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის/სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობა წარმოადგენდა აღნიშნული წევრების დისციპლინური გადაცდომის საფუძველს, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიების მხრიდან არ იქნა გამოჩენილი შესაბამისი ინიციატივა, აღნიშნული საკითხით დაინტერესება (რისი უფლებაც კანონით ჰქონდა მინიჭებული) და კანონის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას მეტწილად დადებითად შევაფასებდით. თუმცა აღსანიშნავია კომისიის წევრების (განსაკუთრებით კომისიის თავმჯდომარის და მდივნის) არაკომპეტენტურობა მთელ რიგ პროცედურულ საკითხებთან დაკავშრებით. რისი ერთ ერთი თვალსაჩინო მაგალითია საუბნო კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით შესწორების ოქმებისა და ახსნა განმარტებების სიმრავლე. ამის გამომწვევი ფაქტორებია - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის განკუთვნილ ტრენინგებზე დაბალი დასწრება და მათი უმრავლესობის გამოუცდელობა. კომისიის წევრების არაკომპეტენტურობა აისახა შემდეგზე - საკონტროლო ფურცლის არასწორად/არასრულად შევსება; პროცედურების არათანმიმდევრულობა, რეგისტრატორების მიერ დაშვებული შეცდომები; სადემონსტრაციო ოქმების არასრულად შევსება, შემაჯამებელი ოქმის არასწორად ან არასრულად შევსება და ა.შ.

ამომრჩეველთა სია

ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა სიების შედგენა საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ამომრჩევლის საარჩევნო უფლების განხორციელება. ამომრჩეველთა სიების სიზუსტე, წლების განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეების მიერ ერთ-ერთი დასახელებული საარჩევნო პრობლემა იყო. სიების სრულყოფასთან დაკავშირებით გამოწვევები მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებზეც არსებობდა.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31 მუხლით.

ამომრჩეველთა ერთიანი სია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სიას, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

იუსტიციის სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ წამყვანი უწყებაა, რომელიც აქტიურად მუშაობს საარჩევნო სიების დაზუსტებაზე. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ „საარჩევნო სიის სრულყოფის პროექტი – 2“ 2015 წლის ოქტომბერში, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, დაიწყო. ამ პროექტის ფარგლებში ხარისხიანი საარჩევნო სიის შესადგენად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა. საარჩევნო სიების სრულყოფისათვის სააგენტომ მუშაობა რამდენიმე მიმართულებით აწარმოა, კერძოდ:

- ფოტოსურათების დადარება – გადამოწმდა 2 008 432 საქმე, გაუქმდა 488 გაორებული და 151 გაყალბებული დოკუმენტი, გასწორდა 1 399 არასწორად მიბმული სურათი;
- გარდაცვალების ფაქტების გამოვლენა და რეგისტრაცია – შედგენილ იქნა 3 654 გარდაცვალების ოქმი და გარდაცვლილი (მათ შორის, საზღვარგარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარდაცვლილი) პირები ამორიცხა მოქალაქეთა ბაზიდან;
- მონაცემთა ბაზაში სურათის გარეშე და უხარისხო სურათის მქონე ჩანაწერების შემცირება – აღდგენილ იქნა 1 135 ჩანაწერი, 15 ჩანაწერი გაუქმდა საქმისწარმოების დროს აღმოჩენილი გაორების გამო, საკონსულო სამსახურების მიერ გაცემული უსურათო დოკუმენტიდან მოძიებულ იქნა და ბაზაში აისახა 6 566 მოქალაქის ფოტო;
- შეუსაბამობა სქესში და არასწორად მიბმული ფოტოების გამოვლენა – შესწავლილ იქნა 40 000 ჩანაწერი, შესწორდა 252 პრობლემური ჩანაწერი;
- დოკუმენტების გაცემა საფასურის გარეშე – პროექტის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით უფასო აქციების ფარგლებში გაიცა 336 871 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამ აქციებით მოქალაქეებმა მოაგვარეს საარჩევნო სიაში მოხვედრასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ შეიტანება იმ პირთა შესახებ მონაცემები, რომელთა სახელზე ბოლოს გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაუქმდა გაყალბების ან ბათილად ცნობის გამო, ან რომელთაც არ აუღიათ მიმდინარე არჩევნების დროისთვის იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით (25 აპრილის მდგომარეობით) მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდებოდა რეგისტრაციიდან მოხსნილი საქართველოს 98,646 მოქალაქე, მისამართის გარეშე რეგისტრირებული საქართველოს 30,295 მოქალაქე და იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის მფლობელი 64,249 მოქალაქე.

აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების საარჩევნო უფლების უზრუნველსაყოფად, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით წინასაარჩევნო პერიოდში აქცია გაიმართა, რომლის დროსაც პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცა 2016 წლის 15 თებერვლიდან 30 ოქტომბრამდე (ეხებოდა რეგისტრაციიდან მოხსნილ და იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების მფლობელებს) და 2016 წლის 15 ივლისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით (ეხებოდა იმ პირებს, ვის დოკუმენტებსაც მოქმედების ვადა ეწურებოდა 2016 წლის 8 ოქტომბრამდე). ამ აქციების შედეგად, 132 903 უსაბუთო ამომრჩეველმა უფასოდ აიღო პირადობის მოწმობა, 10 063 რეგისტრაციიდან მოხსნილმა მიიღო უფასოდ პირადობის მოწმობა, 14 213 ისეთმა პირმა აიღო უფასოდ ახალი პირადობის მოწმობა, რომლის მოქმედ პირადობის მოწმობასაც 8 ოქტომბრამდე გასდიოდა ვადა და, შესაბამისად, შეძლებდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. მთლიანობაში, მოცემული აქციების

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

შედეგად, 157 179 ამომრჩეველს მიეცა საშუალება, ბარიერის გარეშე განეახლებინა დოკუმენტი. ასევე, 2016 წლის 26 მაისიდან 26 ივნისამდე პირადობის ელექტრონული მოწმობების მიღება ყველა მოქალაქისთვის იყო უფასო, რა დროსაც 193 648 პირზე გაიცა საჭირო დოკუმენტი.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია, რაც დადებით შეფასებას საჭიროებს. იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2016 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით 2 465 550 მონაცემი საბოლოოდ დაზუსტებული და უტყუარი იყო. თუმცა სიაში კვლავ რჩებოდა 1 048 334 ამომრჩევლის არაბიომეტრული მონაცემი, რომელიც შესწავლას და სრულყოფას საჭიროებს.

აგრეთვე საარჩევნო კოდექსში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების[18] თანახმად განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებში იმ ამომრჩევლის მონაწილეობის წესი, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან, ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, ან რომელიც რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე. აღნიშნული წესის მიხედვით პირი ვალდებული იყო 2016 წლის 1 აგვისტომდე გამოცხადებულიყო სააგენტოში და გაევლო რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მხოლოდ მიეთითებინა თავისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და გადაეღო ფოტოსურათი ციფრულ ფორმატში. ხანმოკლე პერიოდის გათვალისწინებით, ცესკომ სპეციალური დადგენილება მიიღო, რომლის საფუძველზეც აღნიშნული კატეგორიის ამომრჩევლების რეგისტრაცია ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის ბოლო დღემდე, 22 სექტემბრამდე გადაიდო. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ამომრჩეველთა ერთიან სიას მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული და რეგისტრაციიდან მოხსნილი 59 242 ამომრჩევლის მონაცემი დაემატა (მისამართის გარეშე რეგისტრირებული 23 988, ხოლო რეგისტრაციიდან მოხსნილი 35 254 ამომრჩეველი) და მათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცათ.



საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ინსტიტუციების მიერ გადმოცემული მონაცემების დამუშავება და ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლება. 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 3 513 884, მათ შორის: ქალი – 1 888 975 და კაცი – 1 624 909.

სამწუხაროდ ამომრჩეველთა ერთიან სიაში ვერ მოხვდნენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მოახერხეს სააგენტოსათვის შესაბამის ვადებში მიმართვა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა, აგრეთვე ის პირები რომლებსაც უფიქსირდებოდათ პრობლემური რეგისტრაციის მისამართი და ცესკომ ვერ შეძლო კონკრეტული საარჩევნო უბნისათვის მიკუთვნება.

სიაში შეყვანილ იქნენ სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იყვნენ საკონსულო აღრიცხვაზე, ასეთი სულ 41 496 ამომრჩეველი დაფიქსირდა. აღნიშნული კატეგორიის ამომრჩევლებისათვის 40 სახელმწიფოში შეიქმნა 50 საარჩევნო უბანი. საზღვარგარეთ შექმნილ უბნებში ამომრჩევლებმა კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით მიიღეს.

[18] მუხლი 185[12] - საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის ორგანული კანონი №5438 - ვებგვერდი, 12.07.2016წ.

სიაში აგრეთვე შეყვანილ იქნენ ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებოდნენ სხვა სახელმწიფოში, მაგრამ არ იდგნენ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, ასეთი სულ 183 996 ამომრჩეველი დაფიქსირდა. აღნიშნული კატეგორიის ამომრჩეველს შესაბამის სახელმწიფოში კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მისაღებად უნდა მიემართა სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში. თუ ამომრჩეველი გადმოკვეთავდა საქართველოს საზღვარს, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა (22 სექტემბერი), არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით უნდა მიემართა საარჩევნო ადმინისტრაციისათვის. ხოლო 22 სექტემბრის



შემდგომ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ამომრჩეველს, შესაბამისი დოკუმენტების (საზღვრის გადაკვეთის შესახებ ჩანაწერი პასპორტში) წარდგენის შემთხვევაში, უფლება ჰქონდა მიეღო კენჭისყრაში მონაწილეობა, რისთვისაც უნდა მიემართა შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის[19].

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ფოტოსურათებიანი ერთიანი და სპეციალური სიების სამაგიდო და კედლის ვერსიების არჩევნების დღისათვის მომზადება. ეროვნული უმცირესობებისათვის შესაბამისი ოლქებისა და უბნებისათვის მომზადდა ამომრჩეველთა ორენოვანი სიები ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე. 4 საარჩევნო უბანზე მომზადდა სამენოვანი - ქართულ-აზერბაიჯანულ- სომხური სიები.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფოტოსურათებიანი ვერსია (ელექტრონული) განთავსდა ცესკოს ვებ-გვერდზე (voters.cec.gov.ge), სადაც ნებისმიერ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება გადაემოწმებინა, როგორც ინფორმაცია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შესახებ, ასევე დარწმუნებულიყო სურათების სიზუსტეშიც. ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების გამარტივების მიზნით, ცესკომ ამომრჩეველს ახალი სერვისები შესთავაზა, კერძოდ ამომრჩეველს შეეძლო აღნიშნული ინფორმაცია გადაემოწმებინა საქართველოს მასშტაბით განთავსებულ 7 000 სწრაფი გადახდის ტერმინალისა და ანდროიდის სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის საშუალებით. მომხმარებელს შეეძლო მიიღო ინფორმაცია თუ რომელ საარჩევნო უბანზეა რეგისტრირებული და რუკაზე ენახა მისი ადგილმდებარეობა. მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს მიერ შეთავაზებული ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმების სერვისებით 10 ივნისიდან 8 სექტემბრამდე 719 499-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.

ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის მერის არჩევნებისათვის (I-II ტური) საარჩევნო ადმინისტრაციაში შევიდა სულ 3 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან არცერთი არ დაკმაყოფილდა (უსაფუძვლობის გამო).

[19] საქართველოს ორგანული კანონი „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – მუხლი 31.12

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

<u>რეკომენდაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს:</u>

გამომდინარე იქნიდან, რომ მოსახლეობის მიგრაცია, საცხოვრებლის შეცვლა, გარდაცვალება, და სხვა ფაქტობრივი მიზეზები, შეუქცევადი პროცესია საჭიროა სიების სრულყოფის მიზნით აქტივობების გაგრძელება.

აგრეთვე მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით. საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას.

აუცილებელია გარდაცვლილი პირების გამოვლენის მიზნით, ეფექტიანი სამუშაოების წარმოება და ადგილობრივი მუნიციპლიტეტების ჩართულობით, გარდაცვალების ფაქტების აღრიცხვის პროცესის ორგანიზება.

წინასაარჩევნო გარემო

პოლიტიკური ფონი

2016 წლის 5 აპრილს, პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღად 8 ოქტომბერი დაასახელა. არჩევნების თარიღის არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე გამოცხადებას გარკვეული გაუგებრობა მოყვა პოლიტიკურ ველზე. აღნიშნულ თემაზე კონსულტაციები პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და ცესკოს თავმჯდომარეს შორის გაიმართა სადაც გადაწყდა, რომ საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისიდან დაიწყებოდა, ხოლო არჩევნები კი 8 ოქტომბერს გაიმართებოდა. შესაბამისად 2016 წლის 8 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის 3 ივნისის განკარგულება რომლითაც საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2016 წლის 8 ოქტომბერი განისაზღვრა. სწორედ 8 ივნისიდან დაიწყო ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი, რომელიც 4 თვე გაგრძელდა.

2016 წლის 14 აპრილს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ გამოქვეყნდა ჩატარებული კვლევის (2016 წლის 23 თებერვლიდან 14 მარტამდე პერიოდი) შედეგები[20]. კვლევის ერთ-ერთ მთავარ შეკითხვაზე – ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას/გაერთიანებას მისცემდით ხმას? (ყველა გამოკითხული რესპონდენტი), პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: “კოალიცია ქართული ოცნება” – 15%, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” – 13%, ხოლო “თავისუფალი დემოკრატები” – 6%. პარტიები, რომლებიც 5%-ზე ნაკლებ სიაში მოხვდნენ იყვნენ: „პატრიოტთა ალიანსი", "ლეიბორისტები", "გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა", "თავისუფალი საქართველო", "ახალი მემარჯვენეები", "გირჩი" და "საქართველოს გზა". კვლევის შედეგების მიხედვით, 2015 წლის გამოკითხის შედეგებთან შედარებით “ქართული ოცნების” პოტენციურ ამომრჩეველთა რაოდენობა 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა (ანალოგიურად შემცირდა “თავისუფალი დემოკრატების” რეიტინგიც), “ნაციონალური მოძრაობისა” კი 3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

კვლევის მეორე მთავარი კითხვის – რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? – მიხედვით, 2012 წლის ნოემბრის კვლევის შემდეგ “ქართული ოცნების” რეიტინგი 2015 წლის აპრილის კვლევით ჯერ 42 პროცენტული პუნქტით შემცირდა, 2016

[20] საზოგადოებრივი აზრის კვლევა, საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2016 წლის აპრილი, https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_Public%20political_GEO_vf.pdf

წლის კვლევა კი აჩვენებს, რომ 2015 წლის ნოემბრიდან უკანასკნელ კვლევამდე კიდევ 5 პროცენტული პუნქტით იკლო (ანუ, 63%-დან 16%-მდე შემცირდა). "ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი 2012 წლის კვლევიდან 2015 წლამდე ჯერ 3 პროცენტული პუნქტით, უკანასკნელ კვლევაში კი, კიდევ 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. რაც შეეხება "თავისუფალ დემოკრატებს", ამ პარტიის პოტენციურ მხარდამჭერთა რაოდენობა 2015 წლის აპრილის კვლევიდან უკანასკნელ კვლევამდე 4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

კვლევის იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს ეხება, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი (მაგ. "პატრიოტთა ალიანსი", "დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო") და მმართველი გუნდი ორგანიზაციის კვლევის შედეგებს არ ენდობა. ოპოზიციური პარტიების მეორე ნაწილს ("ნაციონალური მოძრაობა", "თავისუფალი დემოკრატები", "გირჩი" და ა.შ.) კი მიაჩნია, რომ NDI-ის კვლევა რეალობას ასახავდა.

დაფუძნებიდან ოთხი წლის თავზე და საპარლამენტო არჩევნებამდე შვიდი თვით ადრე, მმართველმა კოალიციამ „ქართული ოცნება" ცვლილებები განიცადა. კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალმა პარტიებმა გადაწყვიტეს 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა. კოალიცია თავდაპირველად რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვა, ხოლო შემდგომ უკვე „ეროვნული ფორუმიც" შეუერთდა. თუმცა რესპუბლიკელებმა გარკვეულწილად შეინარჩუნეს სამთავრობო და საპარლამენტო თანამდებობები. ოდნავ მოგვიანებით კი გავრცელდა პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერის განცხადება კოალიციის დატოვების შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა პოლიტიკურ ძალებს შორის კონსულტაციები. არჩევნებამდე ორი თვით ადრე "მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის", "გირჩი", "ახალი მემარჯვენეები" და "ახალი საქართველო" ერთ საარჩევნო პლატფორმაში გაერთიანდნენ, რომელსაც სათავეში პაატა ბურჭულაძე ედგა. როგორც პარტიების ლიდერები აცხადებდნენ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების საერთო ხედვა, საგარეო კურსი, პროდასავლური არჩევანი, ინოვაციური იდეები და საერთო გეგმები - ეს იყო ის არასრული ჩამონათვალი, რაც მათ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებდათ. თუმცა ახალ პლატფორმაში მალევე დაიწყო უარყოფითი პროცესები, რომელმაც პოლიტიკური გაერთიანება სავალალო შედეგამდე მიიყვანა. საარჩევნო ბლოკს აქტიურად ტოვებდნენ პაატა ბურჭულაძის აქტიური მხარდამჭერები და მებრძოლები. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ არჩევნებამდე 11 დღით ადრე, პაატა ბურჭულაძის ბლოკი დატოვა „გირჩმა" და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისის შეფასებით წინასაარჩევნო გარემოზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ქვეყანაში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე მოსახლეობის იმედგაცრუება პოლიტიკური ელიტის მიმართ. არჩევნების კონტექსტზე ასევე ზემოქმედებას ახდენდა 2014 წლის ივნისში გაფომებული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და მიმდინარე დისკუსიები საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. ამასთანავე მისიის შეფასებით საარჩევნო ატმოსფეროზე უარყოფითად მოქმედებდა ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა, მათ შორის 2016 წლის მაისში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების დროს კორცხელში მომხდარი ძალადობრივი დაპირისპირების გათვალისიწინებით.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებისთანავე, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ერთობლივი განცხადება[21] და საარჩევნო პროცესში ჩართულ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს მიმართეს, გამოეჩინათ სათანადო პასუხისმგებლობა და ჯეროვნად შეესრულებინათ დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტუნარიან გარემოში წარემართათ. არჩევნების გამოცხადებიდან რამდენიმე პოლიტიკური პარტია აქტიურად წარმართავდა საარჩევნო კამპანიას, გაიხსნა საარჩევნო შტაბები და დაიწყო ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზება, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. კამპანიის ღონისძიებები ძირითადად საზოგადოებასთან ღია შეხვედრებითა და კარდაკარ აგიტაციის პროგრამებით შემოიფარგლებოდა. შეხვედრები ტარდებოდა როგორც ღია ცის ქვეშ ასევე დახურულ სივრცეში. სააგიტაციო პლაკატები, მთელს ქვეყანის მასშტაბით იყო გამოკრული, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში. ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველაზე აქტიური და ხილვადი იყო კანდიდატებს შორის. კანდიდატების მიერ ძირითადად აქცენტი კეთდებოდა მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე. ზოგიერთი პარტიის კამპანიის გზავნილები აგრეთვე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაზე იყო ფოკუსირებული.

წინასაარჩევნო კამპანია, 2012 წლის პარლამენტის არჩევნებთან შედარებით, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების და პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლის ფაქტების მასშტაბის სიმცირით ხასიათდებოდა. თუმცა კამპანიის პერიოდში კვლავ გამოიკვეთა ცალკეული ძალადობრივი ინციდენტების, ამომრჩევლის მოსყიდვის, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაშინებისა და აგიტაციაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის შემთხვევები. პარტიების და კანდიდატების მხრიდან ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის დაინტერესებას ფულადი და მატერიალური ღირებულებებითა და მომსახურების გაწევით.

წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი ნეგატიური გამოხმაურება მოყვა პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკურ რეკლამას, რომელიც 13 აგვისტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავიდა. „ცენტრისტების“ პოლიტიკური რეკლამა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და რუსეთის დროშებიანი ტანკების ფოტოების თანხლებით გადიოდა, ამ ფოტოების ფონზე კი პარტია მოსახლეობას ჰპირდებოდა „რუსულ პენსიას“, რუსული სამხედრო ბაზების დაკანონებას საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებას. მაშინ როდესაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს პოლიტიკური პარტიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიისას ისეთი რეკლამების გამოყენებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მოწოდებულია არსებული პოლიტიკური წესწყობილების დამხობისკენ და ლახავს მის სუვერენიტეტს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ რამოდენიმე დღეში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ კონკრეტული რეკლამის შეჩერების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს

[21] http://cdd.ge/566-arasamthavrobo-organizaciebis-erthoblivi-ganckhadeba-thavisufali-da-samarthliani-saarchevno-garemos-shesakheb.html

ისიც, რომ ქართულ მედიასივრცეში რამდენიმე სატელევიზიო არხისა და ონლაინტელევიზიის მიერ აქტიურად ვრცელდებოდა ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდის გზავნილები.

წინასაარჩევნო გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე განხორციელებულმა ძალადობრივმა აქტებმა, მათ შორის ოპოზიციური პარტიის დეპუტატის ავტომანქანის აფეთქებამ, ოპოზიციური მაჟორიტარობის კანდიდატზე ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის აქტივისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებმა. ყველა ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ორ შემთხვევაში კონკრეტულ პირებს ბრალიც წაეყენათ.

წინასაარჩევნო გარემოს კონტექსტში საყურადღებოა 2016 წლის მარტში და შემდგომ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოები, რომლებიც თითქოსდა შეიცავდა პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრების კადრებს. ვიდეოებს თან ახლდა პოლიტიკოსთა და ჟურნალისტების მიმართ მუქარის შემცველი ტექსტები, რითიც ავტორები მოითხოვდნენ ამ პირების მიერ, შესაბამისად, პოლიტიკური და ჟურნალისტური საქმიანობის შეწყვეტას. აღნიშნული ფაქტისა და წარსულში პირადი ცხოვრების შესახებ ვიდეოების გავრცელების არაეფექტურმა გამოძიებამ შექმნა პოლიტიკური სპექტრის მიმართ შანტაჟის რეალური საფრთხე, რაც უარყოფითად აისახება თავისუფალ და კონკურენტულ საარჩევნო გარემოსა პოლიტიკურად აქტიური პირების საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ ვიდეოში გამოთქმული მუქარების ადრესატები ძირითადად იყვნენ ქალები, რაც კიდევ უფრო ართულებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წახალისებას.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ ხელისუფლება ორჯერ გამოვიდა პოლიტიკურ პარტიებს შორის წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან პრინციპებზე შეთანხმების ინიციატივით[22]. აღნიშნულ ინიციატივას გარკვეული პოლიტიკური პარტიები შეუერთდნენ, თუმცა სხვები, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გაემიჯნა, აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივების მნიშვნელობას აკნინებდა წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ინცინდენტებზე მთელ რიგ შემთხვევებში არასათანადო რეაგირება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ და მმართველი პარტიის ცალკეული წარმომადგენლების საჯარო რიტორიკა.

წინასაარჩევნო პერიოდში ხშირი იყო პოლიტიკური პარტიების აქტივისტებს შორის დაპირისპირების შემთხვევები, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკურ ანგარიშსწორებაშიც კი გადაიზარდა (მათ შორის არაერთი სატელევიზიო დებატი). თავდასხმის ობიექტები იყვნენ როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე, მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ადგილი ჰქონდა პარტიების კამპანიური ხასიათის ღონისძიებებზე სხვა პარტიების მხარდამჭერთა მხრიდან დასწრების და ხელის შეშლის მცდელობებს, აგრეთვე ოპოზიციური პარტიის ოფისების დარბევისა და საარჩევნო სუბიექტების პლაკატებისა და საარჩევნო ბანერების განზრახ დააზიანების ფაქტებს რაც, ზოგ შემთხვევებში, ურთიერთდაპირისპირებას იწვევდა. აღნიშნული ფაქტების შესახებ ღიად საუბრობდენ როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე სადამკვირვებლო მისიის განმახორციელებელი ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც აღნიშნულია მათ მიერ მომზადებულ ანგარიშებში. მიუხედავად არსებული დარღვევებისა, ფიზიკურ დაპირისპირებას არ ქონდა მასობრივი ხასიათი.

[22] პრემიერ-მინისტრის განცხადება http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=434&info_id=56309

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიამ რეკომენდაციით მიმართა[23] არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს (საარჩევნო სუბიექტებს) და მოუწოდა მათ მიემართად ყველა ძალისხმევისათვის, რათა პარტიის აქტივისტებსა და მხარდამჭერებს თავი შეიკავებინათ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ან მათი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან, ასევე, ამ შეხვედრების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი კონტრაქციისგან, რითაც გამოირიცხებოდა პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირების რისკი.

დადებითად უნდა შეფასდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივა კამპანიის „ძალა ვნებს არჩევნებს“ წამოწყებასთან დაკავშრებით. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებისთვის გაერთიანდნენ და ვიდეორგოლი ჩაწერეს. პარტიის ცნობილი სახეები – განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა, ამომრჩევლებს მოუწოდებენ, კარგად გააცნობიერებინათ, თუ რა მნიშვნელოვანია არჩევნების ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ჩატარება.

მიუხედავად პარტიების მიმართ არაერთი სამოქალაქო მოწოდებისა, წინასაარჩევნო პერიოდი მაქსიმალურად სამართლებრივ რეჟიმში მოქცეულიყო და ყოფილიყო ფოკუსირებული საარჩევნო პროგრამებზე, ამ პერიოდს მაინც თან სდევდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ზღვარგადასული კრიტიკა და პოლიტიკური დისკუსიების წარმართვა სიძულვილის ენის გამოყენებით.

წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია მოსალოდნელ დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით. მმართველი პარტია რადიკალიზაციისა და დესტაბილიზაციის მცდელობაში ინიციატორად ოპოზიციიურ პარტიას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ასახელებდა. რამდენიმე ტელეკომპანიამ[24] დიდი დრო დაუთმო „მოსალოდნელ დესტაბილიზაციას“, თუმცა არგუმენტაცია, თუ რას ეფუძნებოდა დესტაბილიზაციის მოლოდინი, არ გაჟღერებულა. აღნიშნულმა არასასურველი მოლოდინები შეუქმნა ამომრჩევლებს და უარყოფითი ეფექტი იქონია მათი ნების გამოვლენაზე.

საარჩევნო კამპანიის ტონი კონფრონტაციულად შეაფასა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ. პირველ შუალედურ ანგარიშში[25] ნათქვამია, რომ ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” და ”ქართული ოცნება” ერთმანეთს სდებენ ბრალს საარჩევნო პროცესში კონფრონტაციული გარემოს გამწვავებაში.

წინასაარჩევნო პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა აქტიურობაზე საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში, რაც მათივე შეფასებით უარყოფიად აისახებოდა ამ უწყების, როგორც ეფექტური და პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტისადმი ნდობაზე.

2016 წლის 19 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა და შეახსენა კანონმდებლობით დადგენილი იმ წესების შესახებ, რომლებსაც უნდა იცავდნენ საჯარო მოხელეები და თანამდებობის პირები პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის დროს. მიგვაჩნია, რომ

[23] 2016 წლის 14 სექტემბერი http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/487
[24] “მაესტრო”, “იმედი”, “GDS”
[25] იხილეთ შუალედური ანგარიში http://www.osce.org/ka/odihr/elections/267501?download=true

მსგავსი ფორმატის მესიჯები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, საჯარო სექტორის დეპოლიტიზირების კუთხით მისასალმებელი ნაბიჯია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკა ბოლო რამდენიმე არჩევნების დროს თანდათანობით შემცირდა. თუმცა აღნიშნული ტიპის ქმედებები, რომელიც სახელმწიფო მოხელისა თუ მთავრობის მეთაურის მხრიდან ხორციელდება, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არჩევნების მიუკერძოებლობისათვის.

არჩევნებში ჩართული მხარეები

საარჩევნო სუბიექტი

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 64 პოლიტიკური გაერთიანების განცხადება. ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა 19 პოლიტიკური პარტია და 6 საარჩევნო ბლოკი (ჯამურად ბლოკებში გაერთიანდა 16 პოლიტიკური პარტია). ხოლო 29 საარჩევნო სუბიექტს უარი ეთქვათ/გაუუქმდათ რეგისტრაცია (მათ შორის 7 - პირადი განცხადების, 15 - მხარდამჭერთა სიების წარუდგენლობის, 2 - პარტიული სიის წარუდგენლობის, 4 - ხელმძღვანელობაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის და 1 - იუსტიციის სამინისტროს მიერ შეჩერებული რეგისტრაციის გამო). საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, რეგისტრაციაში გატარდა 35 საარჩევნო სუბიექტი და მათი წარმომადგენელი.

ამავდროულად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა მაჟორიტარი დეპუტატობის 889 კანდიდატის დოკუმენტაცია (824 წარდგენილი იყო საარჩევნო სუბიექტების, 65 კი საინიციატივო ჯგუფების მიერ). ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა მაჟორიტარი დეპუტატობის 816 კანდიდატი, მათგან 763 წარდგენილი იყო საარჩევნო სუბიექტების, 53 კი საინიციატივო ჯგუფების მიერ. ხოლო 73 მაჟორიტარი კანდიდატი მოხსნილ იქნა რეგისტრაციდან (მათ შორის 61 - წარდგენილი იყო საარჩევნო სუბიექტების მიერ ხოლო 12 - საინიციატივო ჯგუფების მიერ).

ამავდროულად საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, რეგისტრირებულ იქნა პარტიული სიით წარდგენილი 3 524 კანდიდატი. მათ შორის: ქალი – 1 304 (37.00%) და კაცი – 2 220 (63.00%).

ცესკომ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განსაზღვრა წილისყრით, გარდა იმ სუბიექტებისა, რომელთაც უკვე მინიჭებული ჰქონდათ რიგითი ნომერი. პროცესი გამჭვირვალედ წარიმართა, წილისყრის პროცედურას ესწრებოდნენ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და მათ თავად ამოიღეს რიგითი ნომერი, რომლითაც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში.

საარჩევნო სუბიექტი, რომელსაც მაჟორიტარულ ოლქების ყველაზე მეტ რაოდენობაში (72) ჰყავდა მაჟორიტარობის კანდიდატი იყო საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო". შემდეგ მოდიოდა საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია" (71 მაჟორიტარული ოლქი). ყველაზე ნაკლები რაოდენობა მაჟორიტარობის კანდიდატებისა წარდგენილი იყო საარჩევნო სუბიექტების „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი" (2 კანდ.) და „მერაბ კოსტავას საზოგადოების" (3 კანდ.) მიერ.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

მაჟორიტარული ოლქი, რომელიც მაღალი კონკურენციითა და კანდიდატების სიმრავლით გამოირჩეოდა იყო N17 (ნაძალადევის) ოლქი - მაჟორიტარობის 16 კანდიდატი. აგრეთვე N7 კრწანისის, N15 დიდუბის, N20 გლდანის, N50 თერჯოლა-ტყიბულისა და N69 ბათუმის მაჟორიტარული ოლქები - 15 კანდიდატი. ხოლო ყველაზე ნაკლები რაოდენობა მაჟორიტარობის კანდიდატებისა წარდგენილი იყო N66 ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქში (6 კანდიდატი).

მაჟორიტარული ოლქი N	კანდიდატთა რაოდენობა	საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი																									
		1	2	3	4	5	6	7	8	10	12	14	15	16	17	18	19	22	23	25	26	27	28	41	42*	43*	44*
1	14	✓		✓		✓	✓	✓	✓			✓			✓	✓			✓		✓	✓			✓	✓	
2	11			✓		✓			✓		✓						✓		✓		✓	✓		✓	✓		✓
3	12	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓	✓											✓	✓	✓	✓			
4	14				✓	✓	✓	✓	✓	✓					✓		✓		✓		✓	✓		✓	✓	✓	
5	13			✓		✓	✓	✓	✓			✓				✓			✓	✓	✓	✓	✓	✓			
6	14	✓		✓		✓	✓	✓	✓	✓					✓	✓			✓		✓	✓		✓	✓		
7	15	✓		✓		✓		✓	✓	✓	✓	✓			✓	✓			✓	✓		✓		✓	✓		
8	12	✓				✓		✓	✓	✓					✓				✓	✓	✓	✓		✓	✓		
9	11		✓	✓		✓		✓	✓	✓							✓		✓		✓	✓		✓			
10	14	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓		✓		✓				✓		✓			✓		✓	✓		
11	13	✓		✓		✓		✓	✓	✓	✓	✓				✓			✓		✓	✓		✓			
12	12	✓				✓	✓	✓	✓	✓							✓		✓		✓	✓		✓	✓		
13	14	✓	✓	✓		✓		✓	✓	✓		✓			✓	✓			✓		✓	✓		✓			
14	12		✓	✓		✓		✓	✓		✓				✓	✓	✓					✓	✓	✓			
15	15	✓		✓		✓	✓	✓	✓	✓					✓				✓	✓	✓	✓		✓	✓		✓
16	11	✓		✓		✓			✓	✓					✓					✓	✓	✓		✓		✓	
17	16	✓	✓	✓		✓		✓	✓	✓	✓		✓				✓		✓		✓	✓	✓	✓	✓		
18	13	✓		✓		✓		✓	✓	✓		✓			✓		✓		✓			✓		✓	✓		
19	11	✓				✓		✓		✓					✓		✓		✓		✓	✓	✓	✓			
20	15	✓	✓	✓		✓		✓	✓	✓	✓				✓		✓		✓	✓	✓	✓		✓			
21	10					✓		✓	✓	✓	✓		✓		✓						✓	✓		✓			
22	14		✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓	✓			✓				✓		✓	✓		✓			
23	7	✓		✓		✓			✓		✓													✓	✓		
24	13	✓		✓		✓	✓	✓	✓	✓	✓	✓					✓				✓			✓	✓		
25	11	✓		✓		✓	✓		✓	✓							✓				✓	✓	✓	✓			
26	12	✓		✓		✓		✓	✓											✓	✓	✓		✓	✓	✓	✓
27	11	✓		✓		✓			✓	✓	✓	✓					✓				✓	✓		✓			
28	11	✓		✓		✓	✓	✓	✓	✓					✓		✓					✓		✓			
29	13	✓	✓	✓		✓		✓	✓		✓				✓				✓		✓	✓	✓	✓			
30	10	✓				✓			✓	✓	✓				✓					✓	✓		✓	✓			
31	11			✓		✓	✓	✓	✓	✓				✓						✓		✓	✓	✓			
32	8	✓	✓	✓		✓		✓	✓													✓		✓			
33	8	✓				✓		✓	✓	✓												✓	✓	✓			
34	8	✓	✓	✓		✓			✓												✓	✓		✓			
35	10	✓		✓		✓		✓	✓								✓	✓	✓			✓		✓			
36	8	✓		✓		✓		✓	✓						✓				✓					✓			
37	10		✓			✓			✓	✓	✓	✓			✓					✓				✓	✓		
38	10	✓		✓			✓		✓	✓				✓			✓			✓		✓		✓			
39	9					✓			✓	✓	✓	✓					✓					✓		✓	✓		
40	11			✓		✓			✓		✓				✓		✓				✓	✓		✓	✓	✓	
41	13	✓		✓		✓			✓	✓	✓	✓			✓		✓				✓	✓		✓	✓		
42	13	✓		✓		✓			✓		✓	✓		✓		✓	✓				✓	✓		✓	✓		
43	14	✓		✓		✓	✓		✓		✓	✓			✓		✓				✓	✓	✓	✓		✓	
44	9			✓		✓		✓	✓								✓		✓			✓		✓	✓		
45	10	✓		✓		✓		✓	✓	✓									✓	✓	✓			✓			
46	8	✓				✓	✓		✓												✓			✓	✓	✓	
47	11	✓				✓		✓	✓		✓			✓			✓				✓	✓		✓	✓		
48	13			✓		✓	✓	✓	✓	✓	✓			✓	✓		✓				✓	✓		✓			
49	11	✓				✓			✓	✓	✓			✓	✓							✓		✓	✓	✓	
50	15		✓	✓		✓		✓	✓	✓	✓				✓				✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	
51	13	✓	✓	✓		✓	✓		✓					✓	✓		✓	✓			✓	✓		✓			
52	11					✓	✓		✓	✓	✓		✓							✓	✓	✓		✓		✓	
53	8	✓				✓		✓		✓										✓	✓	✓		✓			
54	7	✓				✓			✓	✓											✓	✓		✓			
55	8	✓				✓		✓	✓	✓											✓	✓		✓			
56	10			✓		✓	✓		✓					✓		✓					✓	✓		✓	✓		
57	8	✓				✓			✓	✓					✓						✓	✓		✓			
58	10	✓	✓			✓			✓	✓		✓					✓				✓	✓		✓			
59	9	✓		✓		✓	✓		✓	✓												✓		✓	✓		
60	10	✓	✓			✓			✓	✓							✓			✓				✓	✓	✓	
61	13	✓	✓			✓	✓		✓	✓		✓								✓	✓	✓	✓	✓	✓		
62	7	✓				✓		✓	✓				✓									✓		✓			
63	8	✓				✓			✓	✓											✓	✓		✓	✓		
64	7	✓				✓			✓							✓						✓		✓	✓		
65	10	✓	✓	✓		✓	✓		✓													✓	✓	✓	✓		
66	6	✓				✓		✓	✓														✓	✓			
67	12	✓	✓	✓		✓			✓	✓	✓										✓			✓	✓	✓	✓
68	11	✓		✓		✓	✓		✓							✓	✓				✓	✓		✓	✓		
69	15	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓			✓					✓			✓	✓	✓		✓	✓	✓	
70	13	✓		✓		✓	✓	✓	✓					✓			✓		✓		✓	✓		✓	✓		
71	14	✓		✓		✓	✓	✓	✓		✓					✓	✓		✓		✓	✓		✓	✓		
72	10	✓		✓		✓		✓	✓			✓					✓				✓	✓		✓			
73	12	✓		✓		✓	✓	✓	✓	✓								✓			✓	✓	✓	✓			

*საინიციატივო ჯგუფი

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით კანონმდებლობაში არსებული ფინანსური წამახალისებელი ნორმის მიუხედავად, ქალები კვლავ არასაკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი მაჟორი-ტარებად და პარტიულ სიებში. ამავდროულად საყურადღებოა ქალების პოლიტიკური მონაწილეობის ნაკლებობა იმ პოლიტიკური პარტიებში, რომლებსაც მუდმივად მოჰყავდათ მაგალითად თავიანთ პარტიებში ქალი აქტივისტების არსებობა, როგორც გენდერული ბალანსის საკმარისი მტკიცებულება.



„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის 7[1] პუნქტის შესაბამისად პარტია მიიღებდა საბაზო დაფინანსებაზე (არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე) დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილი იქნებოდა სულ მცირე 30%-ით. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გრძელვადიანი საარჩევნო დამკვირვებლების შეფასებით[26] ქვეყანაში ქალთა ლიდერულ როლზე ურყევი პატრიარქალური შეხედულებებიდან გამომდინარე პარტიები მაჟორიტარებად ზოგადად მხარს უჭერენ კაც კანდიდატებს და ქალები გადაჰყავთ პარტიულ სიებში, ნებაყოფლობითი 30 პროცენტიანი კვოტის დასაცავად, რაც ეჭვის ქვეშ აყენებდა მაჟორიტარული სისტემის მიუკერძოებლობას.



2012 წელთან შედარებით, მაჟორიტარულ არჩევნებში და პარტიის/ბლოკის სიებში ქალი კანდიდატების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა. წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდა-ტებიდან ქალთა შედარებით მეტი წარმომადგენლობა ჰყავდათ პროგრესულ - დემოკრატიულ მოძრაობას (40%), რესპუბლიკურ პარტიას (33,3%), საარჩევნო ბლოკს „ჩვენები - სახალხო პარტია” (30%), ეროვნული ფორუმსა (27,5%) და ლეიბორისტულ პარტიას (25%), ხოლო ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას მაჟორიტარებად ქალთა სქესის წარმომადგენები მხოლოდ 7%-ით ჰყავდა წარმოდგენილი.

რაც შეეხება პარტიულ სიებში ქალთა წარმომადგენლობას, ყველაზე მეტი რაოდენობით ქალები სიაში შეყვანილი ჰყავდა პოლიტიკურ მოძრაობას ,,ჩვენი საქართველო“ (64,7%), „ზვიადის გზა - უფლის სახელით” (59,2%) და პროგრესულ დემოკრატიულ მოძრაობას (55%).

[26] საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გრძელვადიანი საარჩევნო დამკვირვებლების ანგარიში http://cesko.ge/res/docs/IRIangarishi.pdf

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ხოლო ყველაზე ნაკლები რაოდენობით ქალები სიაში წარმოდგენილი ჰყავდა საარჩევნო ბლოკს „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" (17,5%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" (11,6%).

რიგითი N	საარჩევნო სუბიექტი	პარტიული სია				მაჟორიტარები			
		სულ	კაცი	ქალი		სულ	კაცი	ქალი	
1	საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის"	177	146	31	17,5%	57	50	7	12,3%
2	პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა ("თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!")	100	45	55	55,0%	20	12	8	40,0%
3	საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა"	163	97	66	40,5%	49	40	9	18,4%
4	„ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი"	133	66	67	50,4%	2	2		0,0%
5	საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	199	149	50	25,1%	72	67	5	6,9%
6	„უსუფაშვილი - რესპუბლიკელები"	135	89	46	34,1%	27	18	9	33,3%
7	„თამაზ მექიაური ერთიანი საქართველოსთვის"	166	88	78	47,0%	43	37	6	14,0%
8	საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან- მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია"	195	121	74	37,9%	71	56	15	21,1%
10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია"	160	94	66	41,3%	44	33	11	25,0%
11	,,სახალხო ხელისუფლება"	107	66	41	38,3%				
12	„საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები" (ივანე წიკლაური)	122	80	42	34,4%	27	22	5	18,5%
14	„დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის"	106	74	32	30,2%	18	17	1	5,6%
15	„მშრომელთა სოციალისტური პარტია"	111	62	49	44,1%	5	4	1	20,0%
16	„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია"	117	96	21	17,9%	9	8	1	11,1%
17	„საქართველო"	116	68	48	41,4%	27	21	6	22,2%
18	„ქართული იდეა"	126	94	32	25,4%	12	10	2	16,7%
19	საარჩევნო ბლოკი „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო"	109	73	36	33,0%	32	26	6	18,8%
22	მერაბ კოსტავას საზოგადოება	120	80	40	33,3%	3	3		0,0%
23	საარჩევნო ბლოკი „ჩვენები - სახალხო პარტია"	198	108	90	45,5%	26	18	8	30,8%
25	„კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი"	132	70	62	47,0%	18	16	2	11,1%
26	ეროვნული ფორუმი	131	89	42	32,1%	51	37	14	27,5%
27	„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები"	200	134	66	33,0%	63	54	9	14,3%
28	„ზვიადის გზა - უფლის სახელით"	130	53	77	59,2%	15	11	4	26,7%
30	,,ჩვენი საქართველო" (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი)	116	41	75	64,7%				
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	155	137	18	11,6%	72	67	5	6,9%

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცხრა კვალიფიციური სუბიექტიდან ხუთის პარტიულ სიაში იყო 30 პროცენტიანი გენდერული კვოტა დაცული. ეს სუბიექტებია: „თავისუფალი დემოკრატები", „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა", „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" და „საქართველოს ლეიბორისტული პარტია". უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტების გარდა, პარტიული სიის პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი, 30% და მეტით, წარმოდგენილი ჰყავდა კიდევ 8 პოლიტიკურ გაერთიანებას.

სუბიექტის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

2016 წლის 27 მაისს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად პარტია ვალდებული გახდა წესდებაში ან/და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში 10 დღის ვადაში ეცნობებინა ამის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის (შესაბამისი დოკუმენტაციის წარგენით).

აღნიშნულმა ცვლილებამ რამდენიმე პარტიის რეგისტრაციის სტატუსზე ზეგავლენა მოახდინა, კერძოდ: ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 16 აგვისტოს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ცენტრისტებს" საარჩევნო რეგისტრაცია

გაუუქმდა , ხოლო 30 აგვისტოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებას „კვარაცხელია - სოციალისტები“ . რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი იყო საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაცია, სადაც გაცხადებული იყო, რომ პარტიების მიერ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე, ცესკოში სარეგისტრაციოდ წარდგენილი განცხადებები არ იყო ხელმოწერილი პარტიების ლეგიტიმური ხელმძღვანელების მიერ. რეგისტრაციის გაუქმების მიუხედავად პარტია „ცენტრისტების“ ლიდერებმა არჩევნებში მონაწილეობა „საქართველოს კომუნისტური პარტია – სტალინელების“ სახელით შეძლეს.

აგრეთვე, 2016 წლის 11 სექტემბერს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით რეგისტრაცია, პარტიული სიის წარმოუდგენლობის გამო, გააუქმდა საარჩევნო ბლოკს „თოფაძე მრეწველები - ჩვენი სამშობლო“ და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სასაარჩევნო სუბიექტს „თოფაძე-მრეწველები“. თუმცა 2016 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული გადაწვეტილება უკანონოდ ცნო, რის საფუძველზეც ცესკოს თავმჯდომარემ გამოსცა ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდა და მისი პროპორციული სია დარეგისტრირდა.

საარჩევნო სუბიექტის დაფინანსება

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება, კერძოდ: ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საარჩევნო კოდექსი“, ასევე, კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი” - და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებებით.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეგულირების მხრივ რადიკალური რეფორმები განხორციელდა. 2016 წლის 23 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ სარჩელის საფუძველზე არაკონსტიტუციურად სცნო „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 51-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება, რომელიც შეეხებოდა საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელში, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში, აგრეთვე, სათემო მაუწყებლის ეთერში უფასო წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, საქართველოს პარლამენტმა 22 ივნისს შემჭიდროვებულ ვადებში მიიღო ახალი ცვლილებები, რომლებმაც აღმოფხვრა დისკრიმინაციული მიდგომა საარჩევნო ბლოკის წევრების მიმართ. ახალი რეგულაციით, უფასო სარეკლამო დრო თანაბრად ნაწილდება ყველა პოლიტიკურ პარტიაზე რომლებმაც ინდივიდუალურად ან საარჩევნო ბლოკთან ერთად წინა საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული წესით მიიღეს ამომრჩეველთა არანაკლებ 4%, ან წინა ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე - არანაკლებ 3%.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ახალმა წესმა მაინც ვერ აღმოფხვრა ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც სარეკლამო დროის თანაბარ გადანაწილებას ეხება, რაც არაერთხელ გახდა წინასაარჩევნო პერიოდში არასაპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკის საგანი.

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასებით[27] აუცილებელია გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა პოლიტიკურ დაფინანსებასთან დაკავშირებით ისე, რომ ჩამოყალიბდეს ერთიანი საკანონმდებლო სისტემა „საარჩევნო კოდექსსა" და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონს შორის.

მოქმედი კანონმდებლობით საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება კომბინირებული წყაროებით ხდება: ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიისთვის პირდაპირ გადაცემულ თანხებს და არაპირდაპირ დაფინანსებას), მეორე მხრივ, საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო ფონდში არსებული თანხები, რომელშიც იგულისხმება საწევრო შენატანები, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული კერძო შემოწირულობები და სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი. საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების ერთ ერთ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე საბანკო სესხები.

პოლიტიკური გაერთიანებების სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები ხშირ შემთხვევაში პარტიების ფინანსების დიდ ნაწილს შეადგენს. სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა და სუბიექტები განისაზღვრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონით.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსება

საარჩევნო სუბიექტი შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობას ახორციელებდა წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლების დანიშვნის უფლება ჰქონდა როგორც ცესკოში რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ასევე შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ საინიციატივო ჯგუფს.[28] პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებს და კანდიდატებს თითოეულ საარჩევნო კომისიაში ორი წარმომადგენლის წარდგენა შეეძლოთ, მაგრამ კომისიის სხდომაზე, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის დღეს, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეეძლო დასწრება.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 43-ე მუხლის შესაბამისად, კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე კვალიფიციური პარტია, აგრეთვე საარჩევნო ბლოკი, რომელშიც გაერთიანებულია კვალიფიციური პარტია) არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად მიიღო დაფინანსება ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 43 მუხლით დადგენილი წესით საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინანსება 4 190 500 ლარის ოდენობით.

ცესკოში რეგისტრირებული 25 პარტიიდან/ბლოკიდან, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსება, კანონით დადგენილი წესით, მიიღო 9 საარჩევნო სუბიექტმა, (მათ შორის ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ და ოთხმა საარჩევნო ბლოკმა) საერთო თანხით 3 876 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 3 585 822 ლარი.

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებს დააკვირდა საარჩევნო სუბიექტების 42 092 წარმომადგენელი.

[27] GRECO ანგარიში. 2015 წლის 15-19 ივნისი https://goo.gl/uNXz4l

[28] ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის[29], საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო დამატებითი დაფინანსება 1 981 100 ლარის ოდენობით[30], სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. თუმცა აღნიშნული თანხა მიიღეს მხოლოდ ის პარტიებმა, რომელთაც ბოლო საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით წარმოეშვათ დაფინანსების მიღების უფლება, კერძოდ: პ/გ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პ/გ "საქართველოს რესპუბლიკური პარტია", პ/გ "ეროვნული ფორუმი", პ/გ "თავისუფალი დემოკრატები", პ/გ „თოფაძე - მრეწველები“, პ/გ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“. მთლიანობაში 9 საარჩევნო სუბიექტმა მიიღო დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად 1 674 304 ლარის ოდენობით.

მოქმედი რეგულაციის თანახმად არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისთვის და საარჩევნო ბლოკისთვის (მიუხედავად ბლოკში გაერთიანებული პარტიების რაოდენობისა) განკუთვნილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს. საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15 % უნდა გამოყენებულიყო წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ იყვნენ ეროვნული მაუწყებლები.

თუმცა თანხის განაწილების პროცესში წარმოიშვა გარკვეული პრობლემები, კერძოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა, 600 000 ლარი, თანაბრად უნდა გადანაწილებულიყო საარჩევნო ბლოკში შემავალ პოლიტიკურ პარტიებზე, თუმცა ამ შემთხვევაში ბლოკში „ქართული ოცნება“ გაერთიანებული 6 პოლიტიკური პარტიიდან „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ არ იყო რეგისტრირებული მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტად და შესაბამისად დაფინანსებას ვერ მიიღებდა.

აღნიშნული საკითხი არ არის კანონმდებლობით დარეგულირებული, თუმცა ცესკომ იმსჯელა დარჩენილი ნაშთის 100 000 ლარის, საარჩევნო ბლოკში „ქართული ოცნება“ შემავალი 5 პარტიისათვის თანაბრად გადანაწილების თაობაზე.

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გადახედვას საჭიროებს კანონში არსებული პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული წესი. მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები კანონმდებლობით მკაფიოდ იქნას განსაზღვრული და დარეგულირებული.

დაფინანსება წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 56-ე მუხლის შესაბამისად წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ასანაზღაურებლად დაფინანსდა 3 საარჩევნო სუბიექტი, პ/გ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, და პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, თითოეული 1 000 000 ლარით.

[29] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[30] ცესკოს 2016 წლის 4 იანვრის №1/2016 დადგენილება https://matsne.gov.ge/ka/document/view/3147203

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ანხორციელს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ჩაატაროს აუდიტი, ყადაღა დაადოს ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ქონებას, შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი.

2016 წელს აუდიტის სამსახურის საქმიანობა დადებითად შეიძლება შეფასდეს. კანონით მონიჭებული მანდატის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ეფექტიანი კომუნიკაციის მეთოდების საშუალებით მჭიდროდ თანამშრომლობდა ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, ოფიციალურ ვებ-გვერდზე პერიოდულად ათავსებდა და ანაახლებდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისათვის საინტერესო დეტალურ ინფორმაციას, რაც ინფორმაციის სწრაფად მიღებისა და ანალიზის პროცედურას მნიშვნელოვნად ადვილებდა. 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების კამპანიის ხარჯებისა და შემოსავლების მონიტორინგის მიმდინარე შედეგებისა და პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ევროსაბჭოს მხარდაჭერით ახალი ვებგვერდიც[31] ამოქმედდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით[32], საარჩევნო პერიოდში (ივნისი-ოქტომბერი) პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მიღებული შემოწირულებების ჯამმა 26 008 857,63 ლარი შეადგინა, ხოლო მათ მიერ წინასაარჩევნოდ გაწეული ხარჯების ჯამური მოცულობა 39 472 487,43 ლარით განისაზღვრა.

პარტიების მიერ დეკლარირებული შემოსავლების მიხედვით, პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის ყველაზე დიდი ოდენობის შემოწირულობა - 16 101 506,00 ლარი „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო. რაც შეეხება დეკლარირებულ ხარჯებს, საარჩევნო პერიოდში (ივნისი-ოქტომბერი) პარტიების მიერ განხორციელებული ჯამური ხარჯებიდან ყველაზე მეტი ასევე „ქართულმა ოცნებამ“ გაწია – 22 212 663,00 ლარი.



[31] www.monitoring.sao.ge

[32] წყარო http://monitoring.sao.ge/declarations/donations

წინასაარჩევნო კამპანიის დროს აუდიტის სამსახურმა[33] შეისწავლა 1016 შემომწირველი ფიზიკური პირისა და 84 იურიდიული პირის მიერ განხორციელებული შემოწირულების კანონიერება. გამოკითხა 120 პირი, მათ შორის, „ქართული ოცნების“ 35, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – 12, „სახელმწიფო ხალხისთვის - 42 და „პატრიოტთა ალიანსის“ - 18 შემომწირველი. უწყებაში გამოკითხვის მიზნით დაბარებულ იქნა 40 პირი.

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაჯარიმა პოლიტიკური გაერთიანებების - „სახელმწიფო ხალხისთვის“ შემომწირველი 7 პირი, ჯამური სანქციის - 187 000 ლარის ოდენობით, „პატრიოტთა ალიანსის“ 1 შემომწირველი - 183 200 ლარის ოდენობით. „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაწეული უკანონო ქველმოქმედებისთვის დაჯარიმდნენ პირები 8 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დაჯარიმდა 7 პარტია და 12 კანდიდატი.

სადამკვირვებლო სპექტრი

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის წესსა და პირობებს არეგულირებს და დამკვირვებლის უფლებებს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესთან დაკავშირებით წინასაარჩევნო პერიოდში მცირედი ცვლილებები განხორციელდა[34].

მონიტორინგის განსახორციელებლად ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაცია უნდა გაევლო ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, გამომდინარე იქიდან დაკვირვებას ერთ კონკრეტულ საარჩევნო ოლქში ახორციელებდა, თუ ერთზე მეტში. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციას კი ანხორციელებდა ცესკო.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პირველ და მეორე ტურზე დაკვირვების მიზნით, ცესკოში რეგისტრაცია გაიარა 19 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, 14 ქვეყნის საელჩოსა და 22 საერთაშორისო ორგანიზაციის 1 661-მა საერთაშორისო დამკვირვებელმა. მათ შორის "საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი" (IRI), "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" (NDI) და “ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ (OSCE/ODIHR). რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 3 საერთაშორისო ორგანიზაციას.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების (პირველ და მეორე ტური) დააკვირვების მიზნით ცესკოში დადგენილი წესით რეგისტრაცია გაიარა 91 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 40 722-მა დამკვირვებელმა (მათ შორის 28 601 წარმომადგენელი აკვირდებოდა პირველ ტურს). კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 10 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჰქონდათ მაქსიმალური ხელშეწყობა და სრული თავისუფლება, რათა განეხორციელებინათ მონიტორინგი არჩევნების მიმდინარეობაზე. თუმცა კენჭისყრის დღეს გამოიკვეთა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების ხელის შეშლისა და ზეწოლის ფაქტები.

---

[33] წყარო http://monitoring.sao.ge/news/116

[34] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესული ცვლილები - დოკ: 5438-IIს 22/06/2016 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3323417

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის სადამკვირვებლო მისია ითვალისწინებდა არჩევნებში მონაწილე მხარეებთან ერთად საარჩევნო პროცესების ერთობლივი მონიტორინგის გარკვეულ ელემენტებს, რის თაობაზეც თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით იმართებოდა შეხვედრები, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აგრეთვე ადგილობრივი, საერთაშორისო, პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საარჩევნო ექსპერტებთან.

მასმედია

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. რაც გულისხმობს ხალხის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას. აღნიშნული კი შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებებით ხორციელდება. თანამედროვე ეპოქაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას მედია წარმოადგენს, საარჩევნო პერიოდში მისი როლი განსაკუთრებით იზრდება.

2016 წლის არჩევნები განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და საარჩევნო სუბიექტების სიმრავლით, რაც გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა მედია საშუალებებისათვის, რომელთა ამოცანაც ამომრჩევლისთვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება იყო ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.

მედია გარემო საქართველოში თავისუფალი და მრავალფეროვანია, თუმცა შეინიშნებოდა პოლიტიზირების გარკვეული ტენდეციებიც. ჩატარებული კვლევების მიხედვით მოსახლეობის უმრავლესობა არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას სწორედ ტელევიზიის საშუალებით იღებს. ამომრჩევლებისათვის ხელმისაწვდომი იყო სატელევიზიო არხების უმეტესობა, რომელიც ახალ ამბებს, პოლიტიკურ თოქ-შოუებს და დებატებს გადმოსცემდა. ყველა საარჩევნო სუბიექტს ჰქონდა წვდომა ფასიან სატელევიზიო დროზე, ხოლო პარტიები, რომლებმაც წინა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე 3 პროცენტიანი ზღვარი გადალახეს, ასევე უფასო დროით სარგებლობდნენ.



საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების (პირველი და მეორე ტურის) გაშუქებისა და მონიტორინგის მიზნით ცესკოში დადგენილი წესით რეგისტრაცია გაიარა 138 მედია ორგანიზაციის (45 უცხოური და 93 ადგილობრივი მედია საშუალება) 5 467 წარმომადგენელმა (მათ შორის 4 885 წარმომადგენელი არჩევნების პირველ ტურში)

ამავდროულად ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლებმა კანონით დადგენილი წესით აკრედიტაცია გაიარეს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებში. ასეთი იყოს სულ 46 მედია ორგანიზაციის 351 წარმომადგენელი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად დააკვირდნენ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას - გააშუქონ კენჭისყრის დღე, კენჭისყრის დღემდე პერიოდი და კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდი. ამავდროულად საქართველოს ორგანულ კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" აწესებს ფართო რეგულაციებს სამაუწყებლო და ბეჭდული მედიის მიმართ.

არჩევნების მთელ პერიოდში, მედიას საშუალება ჰქონდა თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე გაევრცელებინა ნებისმიერი ინფორმაცია. ძირითადი სატელევიზიო არხების საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი თბილისის კანდიდატებზე კეთდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო აჭარის ტელევიზია, სადაც მეტი ყურადღება ეთმობოდა აჭარის უმაღლეს საბჭოში წარდგენილ კანდიდატებს. საინფორმაციო

გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდა პოლიტიკოსებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია, შეხვედრები მოსახლეობასთან, განცხადებები, დაპირებები. რამდენიმე არხზე საინფორმაციო გამოშვებებში კეთდებოდა ჩართვები ან სტუდიაში ჰყავდათ მიწვეული კანდიდატები. ძირითადი კანდიდატების შემთხვევაში დათმობილი დროის თვალსაზრისით დაცული იყო ბალანსი. წინასაარჩევნო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში კანდიდატებს თანაბარი საშუალება ჰქონდათ, მაყურებლისთვის მიეწვდინათ ხმა. მით უმეტეს, რომ საინფორმაციო გამოშვებების გარდა, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო პოლიტიკური თოქშოუების სპექტრი და ეთერში გადიოდა დებატების ფორმატის რამდენიმე გადაცემა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პროფესიული, მიუკერძოებელი და დაბალანსებული მედია გაშუქების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით წარმოებდა არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ქართული ტელე, რადიო, ბეჭდური და ონლაინ მედია საშუალებების რაოდენობრივი და თვისებრივი საარჩევნო მონიტორინგი. საარჩევნო მედიამონიტორინგს სამი ქართული სამოქალაქო ორგანიზაცია ახორციელებდა. 1 დეკემბრის მდგომარეობით, ხუთი ანგარიში გამოქვეყნდა, რომლებიც საარჩევნო კამპანიის მთელ პერიოდს მოიცავს.[35]

ამავდროულად, მედიაში გაშუქების სამართლებრივ დებულებებთან შესაბამისობას ზედამხედველობას უწევდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც 53 სატელევიზიო არხის, 30 რადიოსადგურის და 31 ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული გაზეთის მონიტორინგს აწარმოებდა. 1 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ექვსი ანგარიში აქვს გამოქვეყნებული[36], რომლებიც საარჩევნო კამპანიის მთელ პერიოდს მოიცავს. აღნიშნულ ანგარიშებში გამოვლენილია მრავალი დარღვევები მაუწყებლების მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესებთან დაკავშირებით.

წინა წლებთან შედარებით, 2016 წელს პოლიტიკური თოქ-შოუებიდან მაყურებელს შედარებით ნაკლები ინფორმაცია მიეწოდებოდა არჩევნების პროცესსა და მასში მონაწილე სუბიექტებზე, რაც მათ გათვითცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა. მაუწყებელთა ნაწილი საკითხების განსახილველად პოლიტიკოსთა დებატების ნაცვლად ხშირად პირდაპირ ინტერვიუს სთავაზობდა მაყურებელს. შეინიშნებოდა წამყვანების მოუმზადებლობა ცალკეული საკითხების ირგვლივ, რის გამოც ნაკლებად ისმებოდა კრიტიკული კითხვები და ადგილი ჰქონდა სადისკუსიო თემის ზედაპირულ განხილვას.

მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა რადიომაუწყებლების მიერ. რადიომაუწყებლები ნაკლებად პოლარიზებული იყვნენ, შესაბამისად დროის მნიშვნელოვან ნაწილს არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებსაც უთმობდნენ. აქტიურად შუქდებოდა პოლიტიკოსების შეხვედრები მოსახლეობასთან, თუმცა საარჩევნო პროგრამების მიმოხილვას ნაკლები დრო ეთმობოდა. ყველაზე მეტად „ქართულ ოცნება“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“ შუქდებოდა. არჩევნების დღეს რადიომაუწყებლებმა შედარებით აქტიურად იმუშავეს. ისინი საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობას და გამოვლენილ დარღვევებს ოპერატიულად აშუქებდნენ. ამასთან, გარკვეული დრო ეთმობოდა არასამთავრობო სექტორისა და ცესკოს განცხადებების წარმოჩენასაც. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ. მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა 2 უცხოურ რადიო მაუწყებელში.

[35] მონიტორინგის შედეგები იხილეთ ვებ პორტალზე http://www.mediamonitor.ge/
[36] https://www.gncc.ge/ge/regulation/broadcasting/elections/saparlamentro-archevnebi-2016/0/0

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ბეჭდური მედია საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა საარჩევნო პროცესებს. მსგავსად რადიო მაუწყებლებისა ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ეთმობოდა, თუმცა გამომცემელთა უმრავლესობაში ჭარბობდა წამყვანი ოპოზიციური ძალის კრიტიკა. ბეჭდური მედია საშუალებები უფრო მეტად პარტიებს აშუქებდნენ და კანდიდატებს ნაკლები დრო ეთმობოდათ. დაფიქსირდა ჟურნალისტების მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის, არაეთიკური გამონათქვამების, დაუზუსტებელი ფაქტებისა და ნაკლებად სანდო წყაროების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები („ალია“; „ასავალ დასავალი“; „ქრონიკა+“). ქართულ ბეჭდურ მედიაში შეიმჩნეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების ხშირი დარღვევები. მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა 6 უცხოურ ბეჭდურ მედია საშუალებებში.

ქართულმა ონლაინ მედია საკმაოდ აქტიურად აშუქებდა საარჩევნო პროცესებს. მეტი ყურადღება „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ეთმობოდა, თუმცა მმართველი პარტია უმეტესად დადებით ტონში, ხოლო საპარლამენტო ოპოზიცია უარყოფით ტონში შუქდებოდა. შეინიშნებოდა კრიტიკული აზრის ნაკლებობა და საკითხების ზედაპირული მიმოხილვა. ვებ გვერდების უმეტესობა მეტ-ნაკლებად იცავდა ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს. მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა 16 უცხოურ ონლაინ მედია საშუალებებში.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ნებადართულია, ხოლო გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება იკრძალება კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში. ეგზიტპოლის შედეგების გამოცხადება დაშვებულია კენჭისყრის დღის 20 საათის შემდეგ. ამასთან საარჩევნო კოდექსი არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სუბიექტს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის მითითებას, როგორიცაა: გამოკითხვის დამკვეთი, გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო, ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა, გამოკითხვის თარიღი, გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და შესაძლო ცდომილების ფარგლები.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა დაუკვეთა რამოდენიმე ტელეკომპანიამ.

2016 წლის 2016 წლის აგვისტოში ცობილი გახდა, რომ შესაძლოა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სამ კერძო ტელეკომპანიასთან, -“იმედთან” “GDS”-თან და “მაესტროსთან” ერთად არჩევნების დღეს ეგზიტპოლი ჩაატაროს[37]. არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივ მაუწყებელს მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინა სხვა კერძო ტელეკომპანებთან ერთად ეგზიტპოლების ჩატარებისგან[38], თუმცა 7 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ერთობლივი ეგზიტპოლის ჩატარების თაობაზე, რაც ერთგვარი რისკის მატარებელი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის.

საბოლოოდ კომპანია TNS-მა ეგზიტპოლი ოთხი ტელეკომპანიის - GDS, „მაესტრო“, „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის - დაკვეთით ჩაატარა. კვლევის საველე სამუშაოები კომპანია „გორბიმ“ შეასრულა. 320 საარჩევნო უბანზე ყოველი მეხუთე ამომრჩეველი გამოიკითხა.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით, ეგზიტპოლი ჩაატარა კომპანია GFK Customs Research LLC. კომპანია GFK-ის დაკვეთით ეგზიტპოლის საველე სამუშაოები ჩაატარა კომპანია „ბისიჯიმ“. 10 ათასი ამომრჩეველი გამოიკითხა 220 უბანზე.

[37] წყარო http://netgazeti.ge/news/141482/
[38] http://www.transparency.ge/en/node/6204

თუმცა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებსა და არჩევნების საბოლოო შედეგებს შორის იყო შესამჩნევი განსხვავება.

	საარჩევნო სუბიექტი	TNS		GFK		ცესკო
		ეგზიტპოლის შედეგები*	ცდომილება ცესკოს შედეგებთან	ეგზიტპოლის შედეგები**	ცდომილება ცესკოს შედეგებთან	
41	ქართული ოცნება	53,2%	4,5%	39,9%	-8,8%	48,68%
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	19,5%	-7,6%	32,0%	4,9%	27,11%
8	პატრიოტთა ალიანსი	5,0%	0,0%	4,3%	-0,7%	5,01%
27	თავისუფალი დემოკრატები	4,0%	-0,6%	4,1%	-0,5%	4,63%
10	ლეიბორისტული პარტია	3,0%	-0,1%	3,6%	0,5%	3,14%
1	პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის	2,9%	-0,6%	3,4%	-0,1%	3,45%
6	რესპუბლიკური პარტია	2,9%	1,4%			1,55%
3	დემოკრატიული მოძრაობა	2,4%	-1,1%	2,9%	-0,6%	3,53%
	სხვა პარტიები	6,8%		9,8%		2,90%

*ცდომილება +/- 2% **ცდომილება +/- 1.5%

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არჩევნების დასრულებიდან მალევე მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ განცხადება[39] გაავრცელა, რომელშიც განმარტავდა, რომ ეგზითპოლის მონაცემები მნიშვნელოვნად აცდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 2%-იან ცდომილებას. შესაბამისად, საბჭოს მიაჩნია, რომ TNS-მა ჯეროვნად ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ჟურნალისტებზე ზეწოლა ან პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლა. წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ზეწოლის ან მათი პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლის ფაქტები, კერძოდ:

19 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტს და ოპერატორს საპარლამენტო უმცირესობის წევრთან ინტერვიუს დროს უცნობმა პირმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი რუსთავი 2-ის ოპერატორს - ფიზიკური.

23 სექტემბერს ღამით, წნორში ქუჩის სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის დროს წნორის რწმუნებულმა კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარ ინციდენტზე გამგებლის წარმომადგენელმა დაწერა განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საჯაროდ ბოდიში მოიხადა.

5 სექტემბერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან მოსახლეობის შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე პირი ხმაურითა და სტვენით მივიდა. აღნიშნული პირები აგრესიით გამოირჩეოდნენ ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ, ხელით ეხებოდნენ კამერებს და გადამღებ ჯგუფს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ.

4 ოქტომბერს, ქ. ფოთში მოწერელიას ქუჩაზე მდებარე პარკში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარიების მინისტრის ქართული ოცნების აქტივისტებთან შეხვედრისას, „ALLMEDIA”-ს ჟურნალისტს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის აქტივისტებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

8 ოქტომბერს, ღამით ქუთაისის საარჩევნო ოლქის 90-ე საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელეკომპანიების - "იბერია” და GDS - ჟურნალისტებს და ოპერატორებს უცნობმა პირებმა სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენეს და ტექნიკა დაუზიანეს, რუსთავი 2-ის ჟურნალისტს კი მიკროფონი წაართვეს. ამავე დროს, როგორც მედიით გავრცელებული კადრებიდან ჩანს, მოძალადეები ჰომოფობიური სიტყვებით მიმართავდნენ ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატს. მედიის წარმომადენლებმა აღნიშნული ძალადობა გააპროტესტეს და ცენტრალურ მოედანზე მდუმარე აქცია გამართეს.

[39] წყარო http://gpb.ge/ge/news/view/138311

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

8 ოქტომბერს, მარნეულის N48 საარჩევნო უბანზე მომხდარი დაპირისპირების დროს ტელეკომპანია "იმედის" გადამღებ ჯგუფს საქმიანობის მხრივ პრობლემები შეეუმნა: ქვების დაშენის დროს ოპერატორს კამერა დაუმტვრიეს.

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აღნიშნულ ფაქტებზე დაიწყო გამოძიება, თუმცა შედეგებთან დაკავშრებით ამ ეტაპზე ინფორმაცია არ გასაჯაროვებულა.

ჟურნალისტებზე ზეწოლის კონტექსტში აგრეთვე საყურადღებოა არჩევნებამდე პერიოდში ტელეკომპანია იმედზე განვითარებული მოვლენებიც. კერძოდ: 2016 წლის მარტში ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას დაემუქრნენ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებით, 23 ივნისს კი საინფორმაციო სამსახურის უფროსი დაითხოვეს. "ქრონიკის" ჟურნალისტების განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში საკადრო ცვლილება, რომელსაც არ ჰქონდა ობიექტური მიზეზები, ეჭვქვეშ აყენებდა "არხის და მისი თანამშრომლების რეპუტაციას, სანდოობას და სიტყვის თავისუფლების ხარისხს".

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისია

2016 წლის 29 ივნისს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 48-ე მუხლის მე-4 და მე- 5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის მინისტრის №140 ბრძანებით შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია. კომისია საწყის ეტაპზე 13 წევრისგან (სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები) შედგებოდა. ხოლო შემდგომ მის საქმიანობაში ორი დამატებითი უწყება ჩართო – 19 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური და 29 სექტემბერს - სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ამასთან, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, განისაზღვრა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დაიკავა.

უწყებათაშორისი კომისიამ მუშაობა ოდნავ მოგვიანებით დაიწყო (პირველი სხდომა 13 ივლისს გაიმართა) და განიხილავდა საკითხებს, რომლებიც უკავშირდებოდა საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უწყებათაშორის კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად, კომისია გამოსცემდა რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეებისა და საჯარო დაწესებულებების მიმართ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანი იყო წინასაარჩევნო პერიოდში, რადგან პოლიტიკურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ჰქონდათ საშუალება უშუალოდ დაეყენებინათ საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები კომისიის წინაშე და კომისიის წევრებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით. კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი[40].

დადებითად უნდა შეფასდეს უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე იუსტიციის მინისტრის მიერ გამოთქმული ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურ პარტიებს, ადგილობრივ და საერთაშორიო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მოეწოდათ, რომ კომისიის ფარგლებში განხილული შემთხვევებიდან გამომდინარე,

[40] იხილეთ ვებ გვერდი http://www.cdd.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

წერილობით წარმოედგინათ კონკრეტული წინადადებები საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, რათა მომდევნო არჩევნები კიდევ უკეთეს გარემოში ჩატარებულიყო და როგორც პარტიები ასევე კანდიდატები კიდევ მეტად დაცულ და კონკურენტულ გარემოში შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამ ინიციატივას გამოეხმაურა ორი პოლიტიკური პარტია და შვიდი არასამთავრობო ორგანიზაცია.

უწყებათაშორისი კომისიის ხდომები ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა, ხოლო კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ – ყოველკვირა. ჯამში 14 სხდომა ჩატარდა. უწყებათაშორისი კომისიამ საქმიანობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან შეწყვიტა. კომისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეიმუშავა[41], აგრეთვე ერთი შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშიც წარადგინა[42]. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ამ რეკომენდაციებს არ ჰქონდათ სავალდებულო იურიდიული ძალა და არ არსებობდა შესაბამისი უწყებების მიერ მათი აუცილებელი შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, რეკომენდაციათა ნაწილი შეუსრულებელი დარჩა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2016 წლის 29 ივლისს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ასევე შეუერთდა 6 პოლიტიკური პარტია. დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები, საარჩევნო კოდექსში კონკრეტული მუხლების (მე-2, 45-ე, 48-ე, 49-ე მუხლები) ერთგვაროვან განმარტებაზე შეთანხმდნენ და აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს სწორედ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით იხელმძღვანელებდნენ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) მსგავსი მემორანდუმის გაფორმებას რამდენიმე საარჩევნო ციკლის მანძილზე უწევს ფასილიტაციას, რაც ხელს უწყობს საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას წინ უძღვოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გამართული სამუშაო შეხვედრები, რომლის დროსაც შემუშავდა მემორანდუმის ტექსტი და მომზადდა თემატური სახელმძღვანელოები საარჩევნო და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მემორანდუმისა და სახელმძღვანელოების მომზადებაში აქტურად მონაწილეობდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი[43].

ურთიერთთანამშრომლობის ამგვარი დოკუმენტი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან მიმართებაში გაფორმდა ასევე 2012, 2013 და 2014 წლების წინასაარჩევნო პერიოდშიც.

---

[41] კომისიის რეკომენდაციები იხილეთ ვებ გვერდზე http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/487

[42] კომისიის ანგარიშები იხილეთ ვებ გვერდზე http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/489

[43] დეტალურად იხილეთ CDD-ის ვებ გვერდი: http://cdd.ge/558-samushao-shekhvedra-yvarelshi.html

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ქცევის კოდექსი

2016 წლის 22 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობის, კანონის უზენაესობის პატივისცემისა და ძირითადი საარჩევნო პრინციპების განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს[44] და შეთანხმდნენ, რომ თავისი საქმიანობის განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებდნენ.

სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ როგორც ცესკოსა და სწავლების ცენტრის, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო გამჭვირვალება – საქართველოს, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის, სამოქალაქო მოძრაობა – მრავალფეროვანი საქართველოს, არასამთავრობოთა კოალიცია სამოქალაქო განვითარებისთვის და ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად.

მიგვაჩნია, რომ ქცევის კოდექსი არჩევნებში ჩართულ მხარეთა მიერ მიღწეული წარმატებული შეთანხმების შედეგია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარდამავალი პერიოდის არჩევნებში.

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივა, პოლიტიკურ ძალთა ქცევის კოდექსის მიღების შესახებ. პრემიერმა პოლიტიკურ ძალებს საგანგებო განცხადებით 20 ივნისს მიმართა და პოლიტიკურ ძალთა ქცევის კოდექსის უმოკლეს დროში მიღებისკენ მოუწოდა. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ კამპანიის პერიოდში ძალადობისა და დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად მზაობა გამოთქვა. საარჩევნო კამპანიის სტანდარტების დასადგენად მრავალპარტიული კოორდინაციის რამდენიმე მცდელობა დაფიქსირდა.

22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა "საარჩევნო პერიოდში ეთიკის კოდექსი" დაამტკიცა[45]. საკანონმდებლო ინიციატივას მხარი 87-მა პარლამენტარმა დაუჭირა. განცხადებას პარლამენტში ყველა პოლიტიკური სუბიექტი შეუერთდა, გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა". „საარჩევნო პერიოდში ეთიკის კოდექსი" მოუწოდებს პარტიებს, დაიცვან კანონი, თავი შეიკავონ სიძულვილის ენის გამოყენების ან ძალადობის წაქეზებისგან, და ითანამშრომლონ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებთან.

21 სექტემბერს, ქართული ოცნების ინიციატივით, ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ[46] ხელი მოაწერა ე.წ. „მშვიდობის მემორანდუმს", რომლის მიხედვით ისინი ოპონენტი პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებისგან საკუთარი აქტივისტების დისტანცირებას უზრუნველყოფდნენ. „მშვიდობის მემორანდუმის" ხელმოწერისაკენ პოლიტიკურ პარტიებს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც მოუწოდა. საარჩევნო მემორანდუმი იყო

[44] http://cdd.ge/571-ceskom-da-sadamkvirveblo-organizaciebma-archevnebisthvis-qcevis-kodeqss-moatseres-kheli.html

[45] http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentis-plenaruli-sxdoma22062016.page

[46] საქართველოს რესპუბლიკური პარტია, „დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველო", „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", „პატრიოტთა ალიანსი" და „თავისუფალი დემოკრატები".

პოლიტიკური დატვირთვის მქონე დოკუმენტი, რომელსაც იურიდიული ძალა არ ჰქონდა, შესაბამისად მასზე ხელმოწერა პარტიების პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული. აღნიშული მემორანდუმის ხელმოწერაზე უარი განაცხადა ოპოზიციურმა სპექტრმა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლეიბორისტული პარტია“, „ეროვნული ფორუმი“ და „პაატა ბურჭულაძე - ერთიანი საქართველო“.

მნიშვნელოვანია, რომ მომავალში მსგავსი კოდექსის მხარდაჭერა მოხდეს საარჩევნო სუბიექტების მიერ, ან არსებობდეს პარტიებს შორის შეთანხმებული ქცევის კოდექსი, რომელიც მისაღები იქნება პოტენციურად დაძაბულ სიტუაციებში, როგორც მშვიდობიან არჩევნებში წვლილის შეტანის პრაქტიკული საფუძველი. მსგავის ტიპის კოდექსები ხელს შეუწყოს რწმენის გაზრდას დემოკრატიული პროცესისადმი, როგორც წარმომადგენლობითი მმართველობის დანერგვისა და მშვიდობიანი ცვლილებების მექანიზმი.

წინასაარჩევნო საინფორმაციო კამპანია

საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღის დანიშვნის დღიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია, რომელსაც აწარმოებდნენ საარჩევნო პროცესში ჩართული ძირითადი აქტორები: ცესკო, საარჩევნო სუბიექტები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია და რიგი სახელმწიფო უწყებები.

საინფორმაციო კამპანია ძირითადად წარიმართებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გამოცემითა და გავრცელებით, ხმის გამაძლიერებელ საშუალებათა გამოყენებით ან სხვა ფორმით. ინფორმაცია აქტიურად ვრცელდებოდა ელექტრონულ სივრცეში, ვებ გვერდებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით.

ინტერნეტ მომხმარებლებისათვის ფუნქციონირებდა ვებ გვერდები www.Chemikhma.ge და www.partiebi.ge, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ გაცნობოდნენ ცალკეული პოლიტიკური პარტიების ხედვებს და მათთვის საინტერესო საკითხებზე თემატურად შეედარებინათ სხვადასხვა პარტიების პროგრამები. აღნიშნული ვებ გვერდები წარმოადგენდა ინფორმაციის კარგ რესურსს საქართველოს მოქალაქეებისათვის, რაც ეხმარებოდა მათ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სასურველი არჩევანის გაკეთებაში.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ჩართული მხარეებისა და ამომრჩევლის დროულად ინფორმირების მიზნით ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის ძირითადი მიმართულებები ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, საარჩევნო ადმინისტრაციის და არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების, არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით. შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ვებგვერდი, რომელიც სრულად ადაპტირებულია უსინათლო პირებისთვის. ცესკოში ფუნქციონირებდა კონტაქტ-ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საარჩევნო პერიოდში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივით შექმნილი იყო ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან Technical Working Group (TWG)), სადაც

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

განიხილებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და სამოქალქო საზოგადოების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, სადაც წარადგენედა ინფორმაციას მიმდინარე საქმიანობების შესახებ. საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის და ინფორმირების მიზნით ცესკოში გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) 4 შეხვედრა (8 ივნისი - 8 ოქტომბრის პერიოდში).

ცესკოსთან არსებულმა სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა“ განახორციელა საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტები, მედიის წარმომადგენლები, პოტენციური კანდიდატი ქალები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები). შეიქმნა შესაბამისი დამხმარე სახელმძღვანელოები და დისტანციური სასწავლო პროგრამა, რომელიც დაინტერესებული პირებისთვის განთავსდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა[47], რომლის მიზანია პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული თანხა გაიცემა ფონდიდან მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით. ფონდის ფუნქციას კი საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი ასრულებს.

ორგანული კანონიდან გამომდინარე სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია საგრანტო კონკურსებს – პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მიმართულებით[48], რომლის შედეგად დაფინანსდა 9 არასამთავრობო ორგანიზაცია. ასევე, საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 41 არასამთავრობო ორგანიზაცია შემდეგი მიმართულებებით: ამომრჩეველთა ინფორმირება და მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში[49].

საგრანტო კონკურსების ფარგლებში, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელა პროექტი "პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში"[50]. პროექტის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის ჩატარდა სასწავლო-განანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 პოლიტიკური გაერთიანების (მათ შორის 10 კვალიფიციური და 5 არაკვალიფიციური) 176-მა რეგიონულმა წარმომადგენელმა და აქტივისტმა.

აგრეთვე, ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის მიზნით, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა განახორციელა პროექტი "სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება საარჩევნო პროცესებში"[51]. პროექტის

[47] საქართველოს ორგანული კანონი “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 30[1] მუხლი
[48] http://electionreforms.ge/geo/list/193
[49] http://electionreforms.ge/geo/list/150
[50] http://cdd.ge/575-politikuri-partiebis-saarchevno-shesadzleblobebis-ganvithareba-saqarthvelos-parlamentis-2016-tslis-8-oqtombrisathvis.html
[51] http://cdd.ge/600-proeqtis-samoqalaqo-monatsileobis-gadzliereba-saarchevno-procesebshi-shemajamebeli-ghonisdzieba.html

ფარგლებში ქვემო ქართლისა და სამცხე - ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელებისათვის განხორციელდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.

მომზადდა ვიდეო რგოლები (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომელიც განთავსდა რეგიონში არსებულ მედია საშუალებებში. სოციალური ქსელების აქტიური გამოყენებით განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია "გადაწყვეტილება შენზეა 2016". მოეწყო სხვადასხვა სახის შემოქმედებითი კონკურსები (ვიდეო, სლოგანებისა და კითხვების კონკურსი).

ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანი ტრენინგები და ამომრჩევლის ინფორმირებისთვის გამიზნული ღონისძიებები ჩატარდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. საინფორმაციო მასალები მომზადდა და გავრცელდა ენობრივი, ტრადიციულ/რელიგიური ბარიერებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით. ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ საგრანტო კონკურსში აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა 8 საგრანტო პროექტი.

მისასალმებელია საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირებისა და გააქტიურების მიზნით. აგვიტოს თვეში პრეზიდენტმა ახალგაზრდა ამომრჩევლებზე ორიენტირებული კამპანია სლოგანით - „შენი ხმა ჩვენი მომავალია“ წამოიწყო, რომლის მიზანი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩევლის გააქტიურება გახლდათ. ღონისძიების ფარგლებში საზაფხულო სკოლებში, საქართველოს პეზიდენტის მონაწილეობით, ახალგაზრდებისთვის საარჩევნო თემებზე ლექციები და შეხვედრები მოეწყო.

<u>ამომრჩეველთა ინფორმირება პენიტენციალურ სისტემაში</u>

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით სარგებლობა შეეძლო საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში ან სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და სასჯელს იხდიდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. აღნიშნული პირები კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდნენ ამომრჩეველთა სპეციალური სიის მეშვეობით.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პენიტენციურ დაწესებულებებში სააგიტაციო მასალების განთავსების წესის შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 27 სექტემბრის N01-131 ბრძანების საფუძველზე №57/2012 განკარგულების შესაბამისად შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრთან (CDD) ერთად, სხვადასხვა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და ცესკოს წევრები შედიოდნენ.

30 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების ინფორმირება კენჭისყრის პროცედურების, საარჩევნო სუბიექტებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების შესახებ. ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები,

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის სადამკვირვებლო მისიის წევრებმა, ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებისა და სააგიტაციო მასალების განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის მიზნით[52], სასჯელაღსრულების დაწესებულებები მოინახულეს. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს ის საარჩევნო უბნები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არის განთავსებული და ის სააგიტაციო მასალები, რომლებიც საარჩევნო სუბიექტებმა მიაწოდეს პატიმრების ინფორმირებისათვის.

პენიტენციური დაწესებულებებისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ბრალდებულების/მსჯავრდებულების ინფორმირებისთვის თვალსაჩინო ადგილას იქნა გამოკრული საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები/ საარჩევნო პლაკატები, რამოდენიმე დაწესებულებაში განხორციელდა ბუკლეტების გავრცელება. არჩევნებისათვის რეგისტრირებული 25 საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ 10-მდე სუბიექტმა მიაწოდა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ საუბნო საარჩევნო კომისიებს სათანადო მასალა, უზრუნველყოფილ იქნა საარჩევნო სუბიექტებისათვის თანაბარი პირობები.

არჩევნების მონიტორინგი

CDD-ის სადამკვირვებლო მისია

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, დააკვირდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს 73-ივე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 200 კაციანი სადამკვირვებლო მისიით[53]. გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები განაწილებულები იყვნენ იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში და მათში შემავალ საარჩევნო უბნებზე, სადაც ხმას აძლევდნენ საქართველოსსაარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლით განსაზღვრული სპეციალურ სიაში შეყვანილი პირები. სადამკვირვებლო მისიის წევრები დააკვირდნენ საარჩევნო უბნის გახსნის, კენჭისყრისა და საარჩევნო უბნის დახურვის პროცედურებს.

კენჭისყრის დღეს ორგანიზაციის სათაო ოფისში ფუნქციონირებდა არჩევნების დღის ცხელი ხაზი (790 333 111), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა მიეღო საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ. ცხელი ხაზის მეშვეობით ორგანიზაციას აგრეთვე მიეწოდებოდა ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისა და დარღვევების შესახებ, რომელთა კლასიფიკაცია, განაწილება და რეაგირება ხორციელდე-ბოდა მყისიერად.

არჩევნების დღისთვის თბილისისა და რეგიონების საარჩევნო უბნებისთვის შეიქმნა 10 მობილური ჯგუფი.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად.

[52] http://cdd.ge/590-penitenciur-datsesebulebebshi-arsebuli-tsinasaarchevno-mdgomareobis-monitoringi.html
[53] http://cdd.ge/591-sadamkvirveblo-misia-2016.html

კენჭისყრის დღე

2016 წლის 8 ოქტომბერს საარჩევნო უბნები საქართველოს მასშტაბით დილის 07^{00} სთ-ზე გაიხსნა.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მოკლევადიანი დამკვირვებლები საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იმყოფებოდნენ დანიშნულების ადგილზე და შეუფერხებლად აკვირდებოდნენ უბნის გახსნის პროცედურას. საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები უმეტეს შემთხვევაში ჩატარდა წესის დაცვით თუმცა, რამდენიმე საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა უმნიშვნელო პროცედურული ხარვეზები, რასაც საერთო ჯამში პროცესზე გავლენა არ მოუხდენია.

დილის 08^{00} საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი მზად იყო პირველი ამომრჩევლის მისაღებად. დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით დალუქული იყო ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები. CDD-ის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გახსნის პროცესი (იმ საარჩევნო უბნებში სადაც დაკვირვება განხორციელდა), საარჩევნო უბნების 46%-ში შეფასდა როგორც ძალიან კარგი, 50%-ში როგორც კარგი და 4%-ში როგორც საშუალო ან ცუდი.

მთელი დღის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა დამკვირვებლებთან დაკავშირება და ინფორმაციის მიღება. ორგანიზაციის წარმომადგენელი ასევე მუდმივად იმყოფებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ესწრებოდა საინფორმაციო ბრიფინგებს.

CDD-ის ცხელი ხაზზე, კენჭისყრის პროცედურებისა და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, 30-მდე სატელეფონო შეტყობინება შემოვიდა, რაზეც ჩვენმა დამკვირვებლებმა ადგილზე მოახდინეს შესაბამისი რეაგირება.

კენჭისყრის პროცესი, მთელი დღის განმავლობაში, მშვიდ გარემოში კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ფოტოსურათიანი სია იყო განთავსებული, რეგისტრატორები განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც არ აქცევდნენ ამომრჩევლის სახისა და სიაში არსებული ფოტოს შედარებას. ამომრჩეველთა მარკირება და მარკირების შემოწმების პროცედურა ძირითადად ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესის დაცვით. რეგისტრატორების მიერ საარჩევნო ბიულეტენები სათანადოდ მოწმდებოდა ხელმოწერითა და ბეჭდით, თუმცა იყო მცირედი შემთხვევები ბიულეტენის არასწორად გაცემასთან დაკავშრებით. ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო უბნებზე უმეტესწილად დაცული იყო.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა -1 814 276 (51,63%) ამომრჩეველმა. 12^{00} საათისთვის ამომრჩეველთა აქტივობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 19,81% (695 948) იყო, რაც საკმაოდ მაღალია.





info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

აღსანიშნავია, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტი აქტიურობით ვიდრე თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები. ქალთა სქესის წარმომადგენლების აქტივობა არჩევნებზე უფრო მაღალი იყო (51,1%), ვიდრე მამაკაცთა (48,9%). როგორც ამომრჩეველთა აქტივობის ანალიზიდან ჩანს, ყველაზე დიდი აქტივობა იყო დღის საათებში (12^{00}-15^{00} სთ შუალედში).





უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილი ჰქონდა აგიტაციისა (განსაკითრებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში) და „ოჯახური“ ხმის მიცემის ფაქტებს საარჩევნო უბნებზე.

არჩევნების დღეს სატელევიზიო არხების უმეტესობაზე განსხვავებული ფორმატისა და ჩვეულებრივზე ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. ეს საინფორმაციო გამოშვებები დეტალურად მიმოიხილავდა არჩევნების მიმდინარეობას, დარღვევებს, ეგზიტპოლის შედეგებს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებსა და კანდიდატების განცხადებებს.

„განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ეგრეთ წოდებული "კოორდინატორების" მობილიზების შემთხვევები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე (წყალტუბოს 57.58.10 უბანზე), რომლებიც "ჟურნალში" კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერების აღრიცხვას აწარმოებდნენ. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა კვლავაც შესამჩნევი იყო, ეს უკანასკნელი კი არაპირდაირი აგიტაციის განხორციელების საშუალებაა, რაც ჩვენი შეხედულებით ზრდის საარჩევნო სუბიექტებს შორის პროვოცირებისა და დაპირისპირების რისკს.

მარნეულის N36.22.48, ბათუმის N69.79.01 და ქუთაისი N49.59.90 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტებს, თუმცა, მსგავსი სახის ინციდენტებს საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი არ შეუფერხებია. აღნიშნულთან დაკავშრებით "განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა" მოუწოდა არჩევნებში ჩართულ მხარეებს შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და მიეცათ საარჩევნო ადმინისტრაციისათვის ნორმალურ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა, კანონიერი შედეგების უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში უცნობი პირების მიერ ორი საარჩევნო უბნის დარბევა, რომლებიც აჯამებდნენ კენჭისყრის შედეგებს. კომისიის წევრებს ძალადობით ჩამოართვეს ტელეფონი და მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები. მსგავსი მოქმედებები საფრთხეს უქმნის კენჭისყრის პროცესის კანონიერ და მშვიდ გარემოში ჩატარებას. ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო გარემოზე და აზარალებს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს.

აღსანიშნავია, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის პრობლემები, რაც ჩვენი დაკვირვებით, კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევათა გამომწვევი ძირითადი

მიზეზი იყო. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის ზემდგომი ინსტანციების სწრაფი რეაგირება და აღნიშნულ დარღვევათა უმრავლესობის უმოკლეს დროში მოწესრიგების ეფექტური მცდელობა შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ.

სადამკვირვებლო მისია ასევე სრულად დააკვირდა საქართველოს ტერიტორიაზე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ 11-ვე საარჩევნო უბანს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საარჩევნო უბნებს, სადაც განხორციელდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების დათვლა. დაკვირვება განხორციელდა ასევე იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც სპეციალური სიების მეშვეობით მიმაგრებულნი იყვნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლით პუნქტით გათვალისწინებული სპეც. სიაში შეყვანილი პირები.

აღსანიშნავია, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეხვედრები და პოლიტიკური ნების არაერთგზის დაფიქსირება მაღალჩინოსანთა მიერ, რომ საჯელაღსრულების დაწესებულებებში ღია, გამჭვირვალე არჩევნების ორგანიზება ყოფილიყო უზრუნველყოფილი. შესაბამისი ინსტრუქციები იქნა გაცემული და სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ ადგილზე პროცესის ორგანიზება მაქსიმალურად გამჭვირვალედ, სამართლიანად და პროცედურების დაცვით იქნა უზრუნველყოფილი.

CDD-ის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით კენჭისყრის პროცესი, იმ საარჩევნო უბნებში სადაც დაკვირვება განხორციელდა, 15% -ში შეფასდა როგორც ძალიან კარგი და 85%-ში როგორც კარგი. საარჩევნო უბნების 31 %-ში კომისიის წევრებმა ძალიან კარგად იცოდნენ თავიანთი ფუნქციები და პროცედურები, 62,1%-ში კარგად, ხოლო საარჩევნო უბნების 6,9%-ში საშუალოდ ან ცუდათ. აგრეთვე საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმის დათვლის პროცესი იმ საარჩევნო უბნებზე სადაც დაკვირვება განხორციელდა, 52,4%-ში შეფასდა როგორც ძალიან კარგი და 47,6%-ში როგორც კარგი. საარჩევნო უბნების 60%-ში მთვლელებმა ძალიან კარგად იცოდნენ თავიანთი ფუნქციები და პროცედურები, 40%-ში კი კარგად. კენჭისყრისა და შედეგების დათვლის პროცესი მეტწილად გამჭვირვალედ შეფასდა.

კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, თითოეული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, მცირე შეფერხებით, თავსდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.results.cec.gov.ge.). აღნიშნული აქტივობა ძალზედ პოზიტიურია, ვინაიდან ყველა დაინტერესებული მხარისთვის არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, ყველას აქვს შესაძლებლობა ეტაპობრივად ადევნოს თვალყური შედეგების დათვლის პროცესს.

<u>დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარდა კენჭისყრის დღის ანალიზი, შეფასდა გამოვლენილი დარღვევები. კენჭისყრის პროცესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულად, მეტწილად მშვიდ გარემოში ჩაიარა. კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევებს მასშტაბური ხასიათი არ ჰქონია, შესაბამისად ვინაიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ დარღვევებს არ მოუხდენია ზეგავლენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.</u>

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები

სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში საარჩევნო დავებზე მუშაობდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევდა კენჭისყრის დღეს გამოვლენილ დარღვევებს. კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების უმეტესობა პროცედურულ ხასიათის ატარებდა, რის თაობაზეც კანონით დადგენილი შედგენილ იქნა განცხადება/საჩივარი. უმეტეს შემთხვევაში დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ აღნიშნულ იქნა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, რასაც ხშირ შემთხვევაში მოჰყვა სწრაფი რეაგირება საარჩევნო კომისიის მხრიდან და მოხდა ხარვეზის მყისიერად აღმოფხვრა.

<u>საარჩევნო უბნების გახსნა</u>

საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან უმეტეს შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უბნის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურების არასრულფასოვნად განხორციელებას, რის გამოც რამოდენიმე საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესი დაგვიანებით დაიწყო (მთაწმინდის N01.01.06; ახალციხის N44.37.05; N44.37.30 და N44.37.31; სენაკის N63.64.43; ბათუმის N70.79.19; N70.79.101 და N71.81.09 უბნები). აგრეთვე კომისიის წევრების დაგვიანებით გამოცხადების გამო ახალქალაქის N46.40.40 და სენაკის N63.64.43 საარჩევნო უბნები დაგვიანებით გაიხსნა.

დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც წილისყრით გამოსავლენი ფუნქციების გადანაწილება კომისიის წევრებს მოხდა თვითნებურად, თავმჯდომარის ნებასურვილით ან უშუალოდ წევრების მიერ. მაგ: ახალციხის N44.37.05 უბანი.

თელავის N27.17.12 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა უარი განაცხადა წილისყრაში მონაწილეობაზე.

მესტიის N58.47.02 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა დაუდგენელი ნიმუშის რეგისტრატორის ბეჭედი, ხოლო ახალციხის N44.37.30 საარჩევნო უბანზე რეგისტრატორის ბეჭედს აღენიშნებოდა დაზიანება.

დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა საკონტროლო ფურცლის არასათანადოდ შევსების (არ იქნა შეტანილი პირველი ამომრჩევლის მონაცემები) ფაქტები, კერძოდ ბაღდათის N51.52.10; ბათუმის N69.79.01 და N70.79.58 უბნები.

რუსთავის N30.20.59, ბათუმის N68.79.39 და სენაკის N63.64.43 საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა ერთიდაიმავე საარჩევნო სუბიექტის 1-ზე მეტი წარმომადგენელი.

რუსთავის N17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ 29.20.87 უბანზე საჯაროდ არ იქნა გამოკრული სადემონსტრაციო ოქმი.

<u>კენჭისყრის პროცედურა</u>

ხმის მიცემის პროცესთან დაკავშირებული დარღვევების უმეტესობა პროცედურული ხასიათის იყო, მათ შორის:

- სპეციალურ კონვერტში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ბიულეტენის მოთავსება - 1 შემთხვევა (ფოთის N61.70.23 უბანი);
- მარკირების მქონე ამომრჩევლების გამოცხადება საარჩევნო უბნებზე - 2 შემთხვევა (რუსთავის N30.20.59 და N29.20.01 უბნებზე);
- მარკირების პროცედურის არასათანადოდ წარმართვა - 1 შემთხვევა (ისნის N09.05.41 უბანი);
- გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა - 1 შემთხვევა (რუსთავის N29.20.87 უბანი);

- რეგისტრატორების მიერ ამომრჩველთა რეგისტრაციის პროცესის არასათანადოდ წარმართვა - 4 შემთხვევა (რუსთავის N30.20.41 და N30.20.43 უბანი; ყვარელის N26.16.08 და ხელვაჩაურის N72.83.01 უბანი);
- ამომრჩეველს არ შეუცვალეს გაფუჭებული ბიულეტენი - 1 შემთხვევა (ბათუმის N70.79.92 უბანი);
- ამომრჩეველთა ერთიანი სიის კედლისა და სამაგიდო ვერსიის შეუსაბამობის - 1 შემთხვევა (შუახევის N73.82.30 უბანი);
- საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე აგიტაციის - 1 შემთხვევა (თეთრიწყაროს N32.21.12 უბანი);
- სპეციალურ კონვერტში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ბიულეტენის მოთავსება - 1 შემთხვევა (ბათუმის N69.79.08 უბანი);
- სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა (შატილის N38.28.34 უბანზე);
- ზუგდიდის N65.67.30 უბანზე კენჭისყრის კაბინაში აღმოჩენილ იქნა 7 ცალი ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი ბიულეტენი;
- დუშეთის N38.28.28 უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მხრიდან ბიულეტენის განადგურების შემთხვევა;
- საბურთალოს N05.03.13 საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერის გრაფაში სხვა პირის ხელმოწერა დახვდა.

დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის რამოდენომე შემთხვევა, კერძოდ გარდაბნის N32.21.12 უბანზე არასამთავრობო ორგანიზაცია ა(ა)იპ „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის ევრაზიის ინსტიტუტი" დამკვირვებელის მხრიდან, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირებს. აგრეთვე რუსთავის N30.20.41 საარჩევნო უბანზე ერთ ერთი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ხელს უშლიდა კომისიას უფლებამოსილების განხორციელებაში, მოხდა მცირე ინციდენტიც.

ბათუმის N69.79.44; N69.79.103; N70.79.23 და N70.79.91 საარჩევნო უბნებზე სათანადოდ არ ხდებოდა ამომრჩეველთა ნაკადის რეგულირება, რის გამოც ამომრჩეველები პრეტენზიას გამოთქვამდნენ, ადგილი ჰქონდა მცირე ჰაოსს.

ახალქალაქის N46.40.40 საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამკვირვებელზე ზეწოლას და უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლას. ერთ-ერთი კომისიის წევრი სომხურ ენაზე აწარმოებდა აგიტაციას. CDD-ის დამკვირვებელის მიერ შედგენილ იქნა განცხადება/საჩივარი რომლის მიღებაზეც კომისიამ უარი განაცხადა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდა ცესკოს ცხელ ხაზს.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა რიგი პროცედურული დარღვევები: საარჩევნო დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოება, კომისიის წევრის გამოუცხადებლობა, ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა და სხვა. აგრეთვე:

- რუსთავის N17 დაწესებულებაში გახსილ N29.20.87 საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილმა ერთ-ერთმა ამომრჩველმა (მსჯავდებულმა) ხმა მისცა სპეციალური სიის მეშვეობით. აღნიშნულ უბანზე ხმას აძლევს 91 ბრალდებული/მსჯავდებული, რომელთაგან მხოლოდ 11-მა პირმა გააკეთა არჩევანი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით. სამწუხაროდ დანარჩენ 80 პირს არ ქონდა სათანადო დოკუმენტი ან უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილობაზე და გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესი დასრულდა ვადაზე ადრე. ხმის მიცემის პროცედურა წარიმართა 11 კომისიის წევრის თანხლებით;

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

- წყალტუბოს N14 დაწესებულებაში გახსნილ №57.58.68 საარჩევნო უბანზე ხმას აძლევს 68 ბრალდებული/მსჯავდებული, რომელთაგანაც მხოლოდ 6-მა პირმა გააკეთა არჩევანი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით. სამწუხაროდ დანარჩენ 62 პირმა "უარი განაცხადა" არჩევნებში მონაწილობაზე.
- ისნის N9 დაწესებულებაში გახსილ №10.05.79 საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში დაფიქსირდა ამომრჩეველი, რომელიც არ იყო არც აღნიშნული პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და არც ხმის უფლების მქონე ბრალდებული/ მსჯავრდებული. აღნიშნული პირი ამავდროულად დაფიქსირდა დიდუბის N16.08.37 უბანზე.
- ბათუმის N3 დაწესებულებაში გახსნილ №70.79.105 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცედურა მიმდინარეობს ზოგადი წესის დაცვით, თუმცა დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც პენიტენციური დაწესებულების მოქმედი თანამშრომლები არ იყვნენ შეყვანილი სპეციალურ სიაში და ვერ შეძლეს ხმის მიცემა.
- რუსთავის N5 დაწესებულებაში განთავსებულ №30.20.85 უბანზე ხმის მიცემის უფლების მქონე მსჯავდებულმა სხვისი გვარის გასწვრივ მოაწერა სპეც სიაში ხელი.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებიდან ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია შესაბამისი პროცედურის დაცვით მიეწოდა მიმაგრებულ უბნებს, სადაც განხორციელდა შედეგების დათვლა და შეჯამება.

<u>ხმების დათვლის პროცედურა</u>

20:00 საათზე ყველა საარჩევნო უბანი დროულად დაიხურა. ამომრჩეველთა საშუალო აქტივობის გამო საარჩევნო უბნების უმეტესობამ დროულად განახორციელა ხმის დათვლის პროცედურა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება და საარჩევნო დოკუმენტაციის ოლქისათვის წარდგენა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, საარჩევნო უბნებში ხმის დათვლის პროცესმა ინციდენტების გარეშე ჩაიარა, თუმცა იყო შემთხვევები როდესაც საარჩევნო უბნებზე ხანგრძლივად გაჭიანურდა ხმების დათვლის პროცესი, უმეტესად კი თბილისში განთავსებულ საარჩევნო უბნებში, სადაც გამთენიამდე მიმდინარეობდა ხმების დათვლა. შეიმჩნეოდა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესის არაორგანიზებულობა და კომპეტენციის სიმცირე. დაფიქსირდა მცირედი ხარვეზები: ბიულეტენების თვლის პროცედურის წესების დარღვევის - 3 შემთხვევა, დოკუმენტაციის არასათანადო დალუქვის - 4 შემთხვევა, შემაჯამებელი ოქმის არასრულფასოვნად შევსების - 30-მდე შემთხვევა; შემაჯამებელ ოქმში საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის (მიღებული და ბათილი ბიულეტენების ჯამი) და კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას შორის შეუსაბამობის - 16 შემთხვევა.

<u>დოკუმენტაციის მიღება საოლქო საარჩევნო კომისიაში</u>

CDD-ის დამკვირვებლების ინფორმაციით საოლქო საარჩევნო კომისიები მომზადებულნი შეხვდნენ საუბნო კომისიებიდან დალუქული საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, თუმცა პროცესი ქაოტურ ხასიათს ატარებდა და მეტ-ნაკლებად ორგანიზებული იყო.

ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებზე დაშვებულ არსებითი ხასიათის უზუსტობებს ადგილზე ასწორებდა და უბნის შემაჯამებელ ოქმებს შესწორების ოქმებს მოგვიანებით ოლქში ურთავდა. აღნიშნული ნათლად ჩანს ცესკოს ვებ გვერდზე განთავსებულ საუბნო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დანართებში, სადაც უმეტესობა შესწორების ოქმები და არჩევნების დღის მომდევნო დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილი ახსნა-განმარტებებია (რომელსაც კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" არ იცნობს) დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

აღნიშნულის გამო, რიგ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გაცემული შემაჯამებელი ოქმები განსხვავდებოდა უბანში გაცემული ოქმებისგან. მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა, საოლქო საარჩევნო კომისიები უპირატესობას დისციპლინური პასუხისმგებლობის მსუბუქი ზომების გამოყენებას ანიჭებდნენ და კანონით გათვალისწინებულ უფრო ადეკვატურ ღონისძიებებს არ მიმართავდნენ.

<u>საჩივრები და დავები</u>

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამკვირვებლების მიერ კენჭისყრის დღის პროცედურის დარღვევებთან დაკავშირებით შედგენილ იქნა 20-მდე განცხადება/საჩივარი რომელიც წარედგინა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს ადგილზე რეაგირებისათვის. აგრეთვე ჩანაწერთა წიგნში გაკეთდა 30-მდე შენიშვნა ჩანაწერი.

CDD-ის სადამკვირვებლო მისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების სიზუსტის და სისრულის მონიტორინგი განახორციელა. საარჩევნო დავების სპეციალური ჯგუფის მიერ განხორციელდა დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ანალიზი, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტიპის დარღვევები: შემაჯამებელ ოქმები არ იყო დამოწმებული უბნის ბეჭდით, ოქმები არ იყო საუბნო კომისიის წევრთა მიერ ხელმოწერილი, ოქმებში ფიქსირდებოდა შესწორებები ზოგადი პროცედურის დარღვევით, ოქმებზე არ იყო სათანადო რეკვიზიტები (შედგენის თარიღი და დრო, ბეჭდის ნომერი), ოქმებში შეინიშნებოდა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა და კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის შეუსაბამობის პრობლემა, ფიქსირდებოდა შედეგების ჩასწორება შემაჯამებელ ოქმში და ა.შ. ხმის დათვლის და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში წარგენილ იქნა განცხადება/საჩივრები, კერძოდ:

საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების (პროპორციული ან/და მაჟორიტარული) გადასინჯვა და კანონიერი შედეგების დადგენა: ახალციხის N44.37.19, N44.37.12 და N44.37.31; რუსთავის N29.20.03 და N30.20.59; ბათუმის N68.79.41, N68.79.102, N69.79.01, N69.79.03, N69.79.24, N70.79.16, N70.79.54, N70.79.67 და ზუგდიდის N65.67.15; N65.67.84; N65.67.85, N65.67.84 საარჩევნო უბნები.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება: ახალციხის N44.37.03, N44.37.04, N44.37.06, N44.37.08, N44.37.17, N44.37.22, N44.37.24, N44.37.29, N44.37.30, N44.37.34, N44.38.16; ბათუმის N68.79.60, N68.81.43, N68.81.47, N69.79.24, N69.79.62, N69.79.63, N69.79.103, N70.79.18, N70.79.23, N70.79.47, N70.79.90, N70.79.91, N70.79.93 და ზუგდიდის N65.67.05; N65.67.09; N65.67.12; N65.67.18; N65.67.19; N65.67.28; N65.67.82; N65.67.87; N65.67.88; N44.37.30; N44.37.34, N44.38.16 საარჩევნო უბნები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება: რუსთავის N30.20.42, N30.20.43 და N30.20.59; ბათუმის N68.81.17, N68.81.58, N68.79.102, N69.79.09, N69.79.12, N69.79.27, N69.79.35, N70.79.11, N70.79.58, N70.79.78, N70.79.84, N70.79.85, N70.79.87 და ზუგდიდის N65.67.04; N65.67.12; N65.67.16; N65.67.22; N65.67.24; N65.67.30; N65.67.83; N65.67.80, N65.67.82 საარჩევნო უბნები.

საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილობა - რუსთავის N30.20.26, N30.20.42 და N30.20.43 საარჩევნო უბნებზე.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის მიერ წარდგენილი განცხადება/საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება (25 საარჩევნო უბანზე)
    - დაკმაყოფილდა - 14
    - არ დაკმაყოფილდა - 10
    - განუხილველად იქნა დატოვებული - 1
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება (36 საარჩევნო უბანზე)
    - არ დაკმაყოფილდა - 25
    - არ იქნა განხილული - 11
- საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გადასინჯვა და კანონიერი შედეგების დადგენა (19 საარჩევნო უბანზე)
    - არ დაკმაყოფილდა - 15
    - ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 1
    - არ იქნა განხილული - 3
- საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილობა (3 საარჩევნო უბანზე)
    - არ დაკმაყოფილდა - 3

საარჩევნო ადმინისტრაციაში, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში,სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების მხრიდან კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით შევიდა 1168 განცხადება/საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სახის პროცედურულ დარღვევებს, კერძოდ: კენჭისყრის/უბნის შედეგების ბათილობის მოთხოვნა - 151; შემაჯამებელი ოქმის ბათილობის მოთხოვნა - 186; გადათვლის მოთხოვნა - 430; დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა - 718; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნა - 24.



შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივრებიდან 265 სრულად, ხოლო 166 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 485 განცხადება/საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 229 განუხილველად იქნა დატოვებული. 23 განცხადება/საჩივარი გათხოვნილ იქნა წარმდგენი სუბიექტის მიერ.

ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან არ ხდებოდა განცხადება/საჩივრებში ასახული დარღვევების დეტალური შესწავლა, რის გამოც არაჯეროვნად იქნა გამოკვლეული მტკიცებულებები და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები მიღებული.

ხშირ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა განუხილველად დატოვეს ან არ დააკმაყოფილეს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარგენილი განცხადება/ საჩივრები. იყო შემთხვევა როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიამ საერთოდ არც განიხილა კანონით დადგენილი წესით წარგენილი განცხადება/საჩივრები (ახალციხე), რაზეც განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა საჩივრით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეაგირებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისიები სარგებლობდნენ ფართო დისკრეციული უფლებებით, მაგრამ რიგ შემთხვევებში ვერ მოახერხეს კანონისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის თანმიმდევრულად გატარება, რაც მთლიანობაში საჩივრის განხილვის მექანიზმების მიუკერძოებლობისა და თანმიმდევრობის მიმართ არსებულ კითხვებს ბადებდა.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადება/საჩივრების საფუძველზე, რიგ შემთხვევაში კი უშუალოდ საოლქო საარჩევნო კომისიის ინიციატივით, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და კომისიის წევრების მიმართ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სულ 1079, მათ შორის: 220 გაფრთხილება, 1 უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, 804 შენიშვნა, 22 ხელფასის დაკავება, 32 ხელფასის ნაწილის დაკავება).



საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა ანალიზი. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების საფუძველს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. დისციპლინური სახდელების უმეტესობა დაეკისრა კომისიის თავმჯდომარესა (485) და კომისიის მდივანს (414), ასევე 17 კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 163 კომისიის წევრს.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

ყველაზე მეტი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრებს (872), შემდეგ მოდის პარტია "ქართული ოცნება" - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული კომისიის წევრი (71), პ/მ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს- 26 წევრი, კონსერვატიული პარტია- 25 წევრი, პ/გ თავისუფალი დემოკრატები- 24 წევრი, მპგ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 23 წევრი, პ/გ "გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა"- 22 წევრი, რესპუბლიკური პარტია - 16 წევრი.



ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 124-ე მუხლის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

არსებული საჩივრების განხილვების დასრულების შემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა დადგენილ ვადაში შეაჯამეს კენჭისყრის შედეგები. საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი მშვიდ ვითარებაში ექსცესების გარეშე წარიმართა.

8 ოქტომბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ავღანეთში საქართველოს პარლამენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგები დათვალა და შეაჯამა. ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროებისთვის პარლამენტის არჩევნები 5 ოქტომბერს გაიმართა. №1 ბაგრამის საარჩევნო უბანზე კენჭისყრაში 1171-მა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა, №2 მაზარი-შარიფის საარჩევნო უბანზე კი 132-მა.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბნების უმეტესობიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ მცირე შეყოვნებით მაგრამ შეუფერხებლად მიიღო საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმები, რომლებიც ეტაპობრივად იტვირთებოდა და ხელმისაწვდომი იყო კომისიის სპეციალურ ვებ-გვერდზე results.cec.gov.ge.

9 ოქტომბერს ცესკომ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პირველადი შედეგები მოსახლეობას გააცნო. ამავე დღეს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ აქცია გამართა და ხელისუფლება არჩევნების გაყალბების მცდელობაში დაადანაშაულა. ენმ-ს ლიდერებმა ცესკო ოქმებისა და შედეგების ჯერ დაგვიანებით და შემდეგ შერჩევით გამოქვეყნებაში დაადანაშაულეს და

განაცხადეს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ პირველ რიგში ის ოქმები გამოაქვეყნა, რომელთა შედეგების მიხედვითაც, ქართულ ოცნებას 50%-ზე მაღალი შედეგი ექნებოდა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებოდა საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს მიიღებდა. შესაბამისად 73 მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილი კანდიდატებიდან ბარიერი გადალახა და გამარჯვება მოიპოვა 23-მა კანდიდატმა. ყველა მათგანი წარდგენილი იყო "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ. დარჩენილ 48 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატის ასარჩევად დაინიშნა არჩევნების მეორე ტური[54], რომელის გამართვის თარიღად განისაზღვრა 30 ოქტომბერი.

23 ოქტომბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 125-ე მუხლის შესაბამისად 77 მანდატი განაწილდა იმ პოლიტიკურ სუბიექტებს (პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს) შორის, რომლებმაც მიიღეს პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5%-ისა.





[54]ცესკოს 2016 წლის 19 ოქტომბრის განკარგულება http://cesko.ge/res/docs/CG532.pdf

www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

საარჩევნო უბნებში არსებული დარღვევების გათვალისწინებით, საქართველოს მასშტაბით, ბათილად იქნა ცნობილი ხუთი საარჩევნო ოლქის 9 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები (მათ შორის 2 სარჩევნო უბანი თბილისში - N15.08.14 და N15.08.26, ხოლო 7 რეგიონში - 34.24.08, N34.24.14, N35.22.34, N36.22.48, №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნები). თუმცა მარნეულის №36 და ზუგდიდის №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების მიერ მიღებული ხმების სხვაობა ნაკლები აღმოჩნდა გაბათილებული საარჩევნო უბნის/უბნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე. შესაბამისად ოთხ საარჩევნო უბანზე (მარნეულის №36.22.48 და ზუგდიდის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნები) საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის 15-ე პუნქტის თანახმად, დაინიშნა განმეორებით კენჭისყრა.

განმეორებითი კენჭისყრა, 2016 წლის 22 ოქტომბერს მაჟორიტარული სისტემით, ორი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ოთხ უბანზე გაიმართა. არჩევნების დღემ საარჩევნო უბნებზე ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა. კენჭისყრაში მარნეულის მუნიციპალიტეტის №48-ე საარჩევნო უბანზე 766 ამომრჩეველი გამოცხადდა (53.3%), ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სამივე საარჩევნო უბანზე 1468 (51.6%) ამომრჩეველი მივიდა.

განმეორებითი არჩევნების შედეგების მიხედვით, მარნეულში №36.22.48 უბანზე გამარჯვება მოიპოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, აჰმამედ იმამკულიევმა, ხოლო №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატმა - ედიშერ თოლორაიამ.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული განმეორებითი კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით მარნეულის №36 და ზუგდიდის №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქში, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა (50%+1), შესაბამისად აღნიშნულ ოლქებში დაინიშნა არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურის ჩატარების თარიღად 30 ოქტომბერი განისაზღვრა.

არჩევნების II ტური

წინასაარჩევნო გარემო

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურს არაერთგვაროვანი შეფასებები მოყვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ერთმა ნაწილმა არჩევნების შედეგები აღიარა, თუმცა რამდენიმე ოპოზიციური პარტია, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლებისგან განსხვავებით, გაყალბებასა და მასიურ დარღვევებზე საუბრობდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ა/რ ლიდერმა ლევან ვარშალომიძემ, კენჭისყრის შემდგომ დღეებში რამდენიმე ვიდეო გამოაქვეყნა, რომელზეც ნათლად ჩანდა რამოდენიმე უბანზე კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესში არსებული დარღვევები.

2016 წლის 30 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტური იმართებოდა იმ ოლქებში, სადაც საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა დაწესებული (50%+1) ბარიერი ვერ გადალახეს (50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში). არჩევნების პირველი ტურის შედეგებიდან გამომდინარე, 44 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დამოუკიდებელ მაჟორიტარ კანდიდატს

უპირისპირდებოდა. ორ მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტური პარტია „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ქართული ოცნების“ კანდიდატს შორის იმართებოდა, ხოლო ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ერთმანეთს „თოფაძე-მრეწველების“ და „ქართული ოცნების“ კანდიდატები უპირისპირდებოდენ. ერთ მაჟორიტარულ ოლქში ერთმანეთს დამოუკიდებელი კანდიდატი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ეჯობრებოდა.

8 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს მრავალპარტიული პოლიტიკური ლანდშაფტი. რამდენიმე პარტიის ლიდერებმა, მათ შორის თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და სახელმწიფო ხალხისთვის, პარტია დატოვეს. ამავდროულად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კანდიდატმა - სანდრა რულოვსმა და „თავისუფალი დემოკრატების“ კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ საჯარო განცხადებები გააკეთეს საკუთარი კანდიდატურების მოხსნის თაობაზე, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო კანონმდებლობა მეორე ტურში გასული კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, საარჩევნო ბიულეტენებში ორივე კანდიდატის სახელი და გვარი მაინც რჩებოდა.

პოლიტიკური კამპანიის ჩატარებისთვის საარჩევნო სუბიექტებს მცირე დრო ჰქონდათ. პარტიების უმრავლესობა შემოიფარგლებოდა ისეთი მცირემასშტაბიანი აქტივობებით, როგორიცაა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრები და კარდაკარ კამპანია. რამდენიმე პარტიამ დეტალური საარჩევნო პროგრამები შეიმუშავა, თუმცა, ძირითადად, კამპანიის რიტორიკა პოლიტიკური პროგრამების ნაცვლად ოპონენტისგან მტრის ხატის შექმნასა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე იყო ორიენტირებული.

პირველ ტურში ზუგდიდისა და მარნეულის საარჩევნო ოლქებში განვითარებულმა ძალადობრივი მოვლენებმა მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდს ნეგატიური ფონი შეუქმნა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ კანდიდატები სხვადასხვა ოლქში მათი მხარდამჭერებისა თუ კოორდინატორების მიმართ ზეწოლის და დაშინების ფაქტებზე საუბრობენ, რომელშიც მათივე განცხადებით ხელისუფლების წარმომადგენელები და მმართველი პარტიის აქტივისტები იყვნენ ჩართული. მოგვიანებით, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ არჩევნების შედეგებისა და მეორე ტურისთვის, რასაც პარტიის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. თუმცა, პარლამენტში შესვლისა და მეორე ტურში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილება პარტიამ 11 ოქტომბერს პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღო.

წინასაარჩევნო პერიოდის კონტექსტში განსაკუთრებულად საგულუსხმოა ის ფაქტი, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ ადგილი ჰქონდა როგორც ოპოზიციური, ასევე მმართველი პარტიის მხარდამჭერი ჯგუფებისა და პარტიებთან აფილირებული საჯარო პირების მხრიდან სოციალური ქსელებისა თუ მედიასა შუალებებში კვალიფიციური და ობიექტური ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ ღია და დაუსაბუთებელ კრიტიკასა თუ შეურაცხმყოფელ განცხადებებს. ბრალდებები ურთიერთგამომრიცხავი იყო. ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერები ორგანიზაციებს უყენებდნენ პრეტენზიებს, რომ ისინი იყვნენ უმოქმედო და არასაკმარისად კრიტიკული ჩადენილი სამართალდარღვევების მიმართ, ხოლო, მმართველი პარტიის მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციები თავიანთ შეფასებებში ზედმეტად კრიტიკულები იყვნენ.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის გამართვასთან დაკავშირებით, ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე[55] საარჩევნო ადმინისტრაციაში რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და მათ მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებლებს, აგრეთვე ცესკოში აკრედიტებულ მედია ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს, უფლებამოსილების ვადა მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე გაუგრძელდათ.

არჩევნების მეორე ტურისთვის უფლებამოსილება გაუგრძელდათ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებსა და საუბნო საარჩევნო კომისიებს. თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გარკვეულმა რაოდენობა კომისიის რიგები დატოვა და საოლქო საარჩევნო კიმისიებს მოუწიათ კონკურსის გამოცხადება და კომისიების შემადგენლობის შევსება. ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთა რიგებში. 25-26 ოქტომბერს, მედია საშუალებებში გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამი დღით ადრე არჩევნებამდე - საუბნო საარჩევნო კომისიებს პროფესიული ნიშნით არჩეული წევრები ტოვებენ[56]. ოპოზიციური პარტიები ქართული ოცნების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდნენ.

26 ოქტომბერს პარტიის „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მისმა პარტიამ ყველა საარჩევნო უბნიდან გამოიწვია დანიშნული კომისიის წევრები და ამ ფორმით პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს.

თავისუფალმა დემოკრატებმა კი კომისიის 400-მდე წევრი გამოიწვია 21 ოლქიდან. პარტია პირველი იყო, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ ქართულმა ოცნებამ ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტის კომისიის წევრები დაშინებითა და მოსყიდვით, საკუთარი პარტიის სასარგებლოდ, ხმების გასაბათილებლად ამუშავა.

2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოიყო დამატებითი ფულადი სახსრები 6,056,718.00 ლარის ოდენობით.

CDD-ის სადამკვირვებლო მისია

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას საქართველოს 50-ვე საარჩევნო ოლქში დააკვირდა[57]. CDD-ის სადამკვირვებლო მისია 100 აკრედიტირებული და დატრენინგებული დამკვირვებლისგან შედგებოდა. დამკვირვებლები განაწილებულები იყვნენ იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში და მათში შემავალ საარჩევნო უბნებზე, სადაც ხმას აძლევდნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლით განსაზღვრული სპეციალურ სიაში შეყვანილი პირები. სადამკვირვებლო მისიის წევრები აკვირდებოდნენ კენჭისყრის დღის პროცედურებს, რაც მოიცავდა: უბნის გახსნას, კენჭისყრის პროცესს, უბნის დახურვასა და შედეგების შეჯამებას.

კენჭისყრის დღეს ორგანიზაციის სათაო ოფისში ფუნქციონირებდა არჩევნების დღის ცხელი ხაზი (790 333 111), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა მიეღო საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ. ცხელი ხაზის მეშვეობით ორგანიზაციას აგრეთვე მიეწოდებოდა ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისა და დარღვევების შესახებ, რომელთა კლასიფიკაცია, განაწილება და რეაგირება ხორციელდე-ბოდა მყისიერად.

---

[55] ცესკოს 2016 წლის 17 ოქტომბერის №69/2016 დადგენილება.

[56] http://rustavi2.com/ka/news/59953; http://www.interpressnews.ge/ge/regioni/403716-fothshi-saubno-saarchevno-komisiebi-18-ma-damoukidebelma-tsevrma-datova.html?ar=A

[57] http://cdd.ge/599-saqarthvelos-parlamentis-archevnebis-me-2-turi.html

არჩევნების დღისთვის თბილისისა და რეგიონების საარჩევნო უბნებისთვის შეიქმნა 10 მობილური ჯგუფი, რომლებიც აკვირდებოდნენ საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გარემოს და დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში დროულად ახდენდნენ რეაგირებას.

CDD-ის სადამკვირვებლო მისია სრულად დააკვირდა საქართველოს ტერიტორიაზე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ 9-ვე საარჩევნო უბანს, სადაც ხმა მისცეს მაჟორიტარული წესით ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრებმა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საარჩევნო უბნებს, სადაც მიმაგრებული იყო გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლით პუნქტით გათვალისწინებული პირები.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად.

კენჭისყრის დღე

30 ოქტომბერს არჩევნები 2 229 საარჩევნო უბანზე იმართებოდა, მათ შორის, 9 გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი უბანი. ამომრჩეველთა რაოდენობა 2 478 042-ს შეადგენდა.

დილის 08^{00} საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი, სადაც დაკვირვება ხორციელდებოდა, მზად იყო პირველი ამომრჩევლის მისაღებად. დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით დალუქული იყო ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები.

თბილისსა და რეგიონებში, პარტია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები თავიანთი ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობდნენ. საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომლებიც უბანზე მისული ამომრჩევლების აღრიცხვას ახდენდნენ.

კენჭისყრის პროცესი, მთელი დღის განმავლობაში, ძირითადად კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა. ამომრჩეველთა მარკირება და მარკირების შემოწმების პროცედურა ძირითადად ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესის დაცვით. რეგისტრატორების მიერ საარჩევნო ბიულეტენები სათანადოდ მოწმდებოდა ხელმოწერითა და ბეჭდით. ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო უბნებზე მეტწილად დაცული იყო.

CDD-ის ცხელი ხაზზე, კენჭისყრის პროცედურებისა და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, 10-მდე სატელეფონო შეტყობინება შემოვიდა, რაზეც ჩვენმა დამკვირვებლებმა ადგილზე მოახდინეს შესაბამისი რეაგირება. სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კენჭისყრის დღემ უმეტესწილად მშვიდ გარემოში ორგანიზებულად ჩაიარა. საარჩევნო უბნების უმრავლესობაზე კენჭისყრა კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით განხორციელდა.

არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველთა აქტივობამ იკლო. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 929 265 (37,5%) ამომრჩეველმა. რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტი აქტიურობით ვიდრე თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები. მამაკაცთა სქესის წარმომადგენლების აქტივობა (50,37%) არჩევნებზე უფრო მაღალი იყო ვიდრე ქალთა (49,63%). როგორც ამომრჩეველთა აქტივობის ანალიზიდან ჩანს, ყველაზე დიდი აქტივობა იყო დღის საათებში (12^{00}-15^{00} სთ შუალედში).

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge







არჩევნების დღეს სატელევიზიო არხების უმეტესობაზე, აგრეთვე ონლაინმედიისა და რადიო მაუწყებლების მეშვეობით, ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. ეს საინფორმაციო გამოშვებები დეტალურად მიმოიხილავდა არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას, დარღვევებს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებსა და კანდიდატების განცხადებებს.

კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები

კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების უმეტესობა პროცედურულ ხასიათის ატარებდა, რის თაობაზეც კანონით დადგენილი შედგენილ იქნა განცხადება/საჩივარი. უმეტეს შემთხვევაში დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ აღნიშნულ იქნა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, რასაც ხშირ შემთხვევაში მოჰყვა სწრაფი რეაგირება საარჩევნო კომისიის მხრიდან და მოხდა ხარვეზის მყისიერად აღმოფხვრა.

<u>საარჩევნო უბნების გახსნა</u>

CDD-ის დამკვირვებლების მიერ, საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე დაფისირდა შემდეგი სახის პროცედურული ხასიათის დარღვევები:

- რეგისტრატორის ბეჭდის ზედმეტობა - 1 შემთხვევა (ქუთაისი N47.59.28 საარჩევნო უბანი);
- ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სიის არასათანადო წარმოება - (ზუგდიდის N65.67.16 უბანი);
- კომისიის თავმჯდომარის მხრიდან პარტიის წარმომადგნელის უფლების განხორციელების შეზღუდვა - 1 შემთხვევა (ბათუმის N69.79.01 საარჩევნო უბანი);
- საკონტროლო ფურცლის არასათანადოდ შევსება – 4 შემთხვევა (ბათუმის N69.79.24; ქუთაისის N49.59.80; N49.59.86 და N49.59.93 საარჩევნო უბანი);
- საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის ორი წარმომადგენლის ყოფნა - 1 შემთხვევა (ფოთის N61.60.41 საარჩევნო უბანზე).

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

აგრეთვე, დამკვირვებლის მიერ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც კომისიის წევრმა უარი განაცხადა წილისყრით მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე (ქუთაისის N49.59.96 საარჩევნო უბანზე). რუსთავის მაჟორიტარული ოლქის N29.20.10 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი კომისიის წევრი იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში.

<u>ხმის მიცემის პროცედურა</u>

- ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა - 3 შემთხვევა (საგარეჯოს N23.11.43; N23.11.47 და ქუთაისის N47.49.09 უბანი);
- მედიის წარმომადგენლის მხრიდან ხმის მიცემის პროცესის ხელისშეშლა - 1 შემთხვევა (ქუთაისის N47.59.105 საარჩევნო უბანი);
- საარჩევნო უბანზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნა - 1 შემთხვევა (ახალციხის N44.37.28 საარჩევნო უბანი);
- ამომრჩეველთან ერთად საარჩევნო კაბინაში არაუფლებამოსილი პირის შესვლა - ზუგდიდი N66.67.61 საარჩევნო უბანი);
- მარკირების მქონე ამომრჩევლების გამოცხადება საარჩევნო უბნებზე - 6 შემთხვევა (ბათუმის N69.79.09, N69.79.30, N69.79.63; ზუგდიდის N65.67.09; სამგორის N11.06.20 და რუსთავის N30.20.37 საარჩევნო უბნებზე);
- საარჩევნო დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოება - 2 შემთხვევა (ბათუმის N68.79.41 და N70.79.17 უბნები);
- რეგისტრატორის მიერ დადგენილი პროცედურის არაჯეროვნად შესრულება - 3 შემთხვევა (ბათუმის N68.81.41; მცხეთის N37.27.12 და საგარეჯოს N23.11.37 საარჩევნო უბანზე).

რუსთავის მაჟორიტარული ოლქის N29.20.03 საარჩევნო უბანზე გაურკვეველი პირის მითითებით, გაურკვეველი მიზეზით კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრის პროცესი შეაჩერა და შენობა ჩაკეტა. ამომრჩევლები ვერ ახერხებდნენ კენჭისყრის შენობაში შესვლას. საფრთხე შეექმნა ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენას.

გლდანის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში გახსილ N21.10.111 საარჩევნო უბანზე მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა ნაკლები იყო ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობაზე.

„განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ეგრეთ წოდებული "კოორდინატორების" მობილიზების შემთხვევები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე (კრწანისის, ნაძალადევის, მარნეულის მაჟორიტარულ ოლქში შემავალ რიგ უბნებზე), რომლებიც "ჟურნალში" კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერების აღრიცხვას აწარმოებდნენ. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა კვლავაც შესამჩნევი იყო, ეს უკანასკნელი კი არაპირდაირი აგიტაციის განხორციელების საშუალებაა, რაც ჩვენი შეხედულებით ზრდის საარჩევნო სუბიექტებს შორის პროვოცირებისა და დაპირისპირების რისკს.

მარნეულის N36.22.50 და გორის N42.32.45 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტებს, თუმცა ამ უკანასკნელს საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. სადამკვირვებლო მისიის შეფასებით მსგავსი მოქმედებები აფერხებს საარჩევნო ადმინისტრაციისათვის ნორმალურ პირობებში მუშაობას, საფრთხეს უქმნის კენჭისყრის პროცესის კანონიერ და მშვიდ გარემოში ჩატარებას. ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო გარემოზე და აზარალებს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

<u>საარჩევნო უბნის დახურვა და კენჭისყრის შედეგების შეჯამება</u>

კენჭისყრის პროცესი დროზე ადრე დასრულდა ისნის N9 და ბათუმის N3 პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილ საარჩევნო უბნებზე. საიდანაც საარჩევნო დოკუმენტაცია კანონით დადგენილი წესით დასათვლელად გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ - მიმაგრებულ საარჩევნო უბნებს. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი დანარჩენი საარჩევნო უბნებიდან ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია შესაბამისი პროცედურის დაცვით მიეწოდა მიმაგრებულ უბნებს, სადაც განხორციელდა შედეგების დათვლა და შეჯამება.

20:00 საათზე ყველა ის საარჩევნო უბანი, სადაც დაკვირვება ხორციელდებოდა, დროულად დაიხურა. ამომრჩეველთა საშუალო აქტივობის გამო საარჩევნო უბნების უმეტესობამ დროულად განახორციელა ხმის დათვლის პროცედურა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება და საარჩევნო დოკუმენტაციის ოლქისათვის წარდგენა. თუმცა დაფიქსირდა მცირედი ხარვეზები, კერძოდ:

- კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდგომ კრწანისის N07.04.09 საარჩევნო უბნის კომისიის წევრმა დატოვა საარჩევნო უბანი;
- გორის N41.32.21 საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის დროს გამოვლინდა საარჩევნო კონვერტში ერთიდაიმავე სახეობის ერთზე მეტი ბიულეტენები.
- ახალციხის N44.37.04 საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესში იმყოფებოდნენ ერთიდაიმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის ორი დამკვირვებელი.

საჩივრები და დავები

საარჩევნო ადმინისტრაციაში, არჩევნების მეორე ტურის პერიოდში, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების მხრიდან კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით შევიდა 295 განცხადება/საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სახის პროცედურულ დარღვევებს, კერძოდ: კენჭისყრის/უბნის შედეგების ბათილობის მოთხოვნა - 19; შემაჯამებელი ოქმის ბათილობის მოთხოვნა - 13; გადათვლის მოთხოვნა - 24; დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა - 188; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნა -12 და სხვა სახის მოთხოვნა ან მოთხოვნის გარეშე - 59.



შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივრებიდან 77 სრულად, ხოლო 45 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 129 განცხადება/საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 40 განუხილველად იქნა დატოვებული. 2 განცხადება/საჩივარი გათხოვნილ იქნა წარმდგენი სუბიექტის მიერ.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადება/საჩივრების საფუძველზე, რიგ შემთხვევაში კი უშუალოდ საოლქო საარჩევნო კომისიის ინიციატივით, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და კომისიის წევრების მიმართ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სულ 192, მათ შორის: 75 გაფრთხილება, 5 უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, 101 შენიშვნა, 8 ხელფასის დაკავება, 3 ხელფასის ნაწილის დაკავება).



საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა ანალიზი. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების საფუძველს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. დისციპლინური სახდელების უმეტესობა დაეკისრა კომისიის თავმჯდომარესა (73) და კომისიის მდივანს (60), ასევე 4 კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 55 კომისიის წევრს.

ყველაზე მეტი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრებს (143), შემდეგ მოდის პარტია "ქართული ოცნება" - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული კომისიის წევრი (19), მპგ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 9 წევრი, კონსერვატიული პარტია - 8 წევრი, პ/გ თავისუფალი დემოკრატები და პ/გ რესპუბლიკური პარტია - 5-5 წევრი წევრი, ხოლო პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - 3 წევრი.

კენჭისყრის შედეგების შეჯამება

31 ოქტომბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ საზოგადოებას მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები გააცნო.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა, არსებული საჩივრების განხილვების დასრულების შემდგომ, საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, დადგენილ ვადაში შეაჯამეს კენჭისყრის შედეგები. საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი მშვიდ ვითარებაში ექსცესების გარეშე წარიმართა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებოდა საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი,

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

რომელიც არჩევნებში ყველაზე მეტ ხმას მიიღებდა. 50 მაჟორიტარულ ოლქში გამართული არჩევნების მეორე ტურის შედეგების საფუძველზე 48 მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვება მოიპოვა "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარდგენილმა კანდიდატმა, ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში თოფაძე-მრეწველების კანდიდატმა, ხოლო ერთ მაჟორიტარულ ოლქში დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 73 წევრი, მათ შორის ქალი – 6 (8.22%) და კაცი 67 (91.78%). აქედან მაჟორიტარული სისტემით პირველ ტურში სულ არჩეულ იქნა 23 წევრი, მათ შორის ქალი – 1 და კაცი – 22. მეორე ტურში კი არჩეულ იქნა სულ 50 წევრი, მათ შორის ქალი – 5 და კაცი – 45.

16 ნოემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2016 წლის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა. არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით მანდატები საქართველოს პარლამენტში შემდეგნაირად განაწილდა



მათ შორის ქალი – 24 (16.00%) და კაცი – 126 (84.00%),

დასკვნა

დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისა და ევროპეიზაციის გზაზე.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნები განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და საარჩევნო სუბიექტების სიმრავლით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 16 საარჩევნო სუბიექტი და მხოლოდ 4 დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი, მიმდინარე არჩევნებში კი პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად 25 პარტია/საარჩევნო ბლოკი და 61 დამოუკიდებელი კანდიდატი იბრძოდა. წლევანდელი არჩევნები ასევე გამორჩეული იყო იმით, რომ სხვადასხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩევლთა ხმას მეტწილად თანაბარი „წონა" ჰქონდა.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაცის საფუძველზე 2016 წლის 8 ოქტომბერსა და 30 ოქტომბერს კენჭისყრის პროცესმა შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში უმეტესწილად მშვიდ გარემოში, ორგანიზებულად და პროცედურების დაცვით ჩაიარა, შესაბამისად სადამკვირვებლო მისიის მიერ შეფასდა დადებითად. კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა საერთაშორისო ვალდებულებების და დემოკრატიული არჩევნების საყოველთაო პრინციპების შესაბამისად.

2012 წელთან შედარებით მიმდინარე წლის წინასაარჩევნო პერიოდი უფრო ხანგრძლივი, ხოლო საარჩევნო გარემო უფრო თავისუფალი და კონკურენტული იყო. მიუხედავად ამისა, საარჩევნო ბარიერი მხოლოდ სამმა პარტიამ - ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გადალახა და ქართულმა ოცნებამ თითქმის ყველა მაჟორიტარული მანდატი (ორი მანდატის გარდა) მოიგო. ქართულმა ოცნებამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში კვლავ მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩა.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნები ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების გზაზე, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც ყურადღებას და გადაწყვეტას საჭიროებს. უკანასკნელი არჩევნების პერიოდში (2015-2016) დაფიქსირდა ძალადობის გამოვლენის მრავალი ინციდენტი (დეპუტატებზე თავდასხმა; ფიზიკური დაპირისპირება; საარჩევო უბნების დარბევა და სხვა). მნიშვნელოვანია არჩევნების დამოუკიდებელი და დაბალანსებული მედიაგაშუქება, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში დემოკრატიული გარემოს უზრუნველყოფისათვის. ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ძალებს შორის კვლავ პრობლემად რჩება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით პოლიტიკური კონსესუსის არარსებობა.

რეკომენდაციები

არჩევნებისთვის თვისობრივად უკეთეს, გამჭვირვალედ, სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების მოწესრიგება:

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების პერიოდში გამოვლენილმა დარღვევებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა დასახვეწია და საჭიროებს შემდგომ რეფორმირებას, მათ შორის მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების განახლება და თანამედროვეობის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების მკაფიო რეგულირება და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველყოფა.

საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემა წარმოადგენს ქვაკუთხედს საარჩევნო რეფორმის ჭრილში. დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემა წლებია წარმოადგენს კრიტიკის საგანს ადგილობრივი/ საერთაშირისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან, ვინაიდან, ის ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტების აღსრულებას.

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პლურალიზმისა და სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლობითობის გაზრდის წახალისება (ქალები, შშმ პირები, ეროვნული უმცირესობები).

შესაბამისად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ისეთი საარჩევნო სისტემის შერჩევა, რომელშიც პირველ რიგში განსაზღვრული იქნება შემდეგი პრიორიტეტები:

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

- პროპორციულობა - ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვა მანდატებში;
- ამომრჩეველთა ე.წ. „დაკარგული ხმების“ მინიმალური ოდენობის უზრუნველყოფა;
- მცირე პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების წარმომადგენლობის ხელშეწყობა;
- სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა (უმცირესობები) და გენდერული თანასწორობა;
- არჩევნებისადმი მოსახლეობის ნდობის გაზრდა;
- კანდიდატებზე ორიენტირება;
- მეორე ტურის აუცილებლობის ნაკლები ალბათობა;
- სიმარტივე.

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პროცესი წარიმართოს ევროპელი აქტორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეტი ჩართულობით. მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვა-ლისწიენება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამომრჩეველის ნების პროპორციულად გარდა-სახვა მანდატებში, წარმომადგენლობითობისა და ხმის წონის თანაბრობის პრინციპის დაცვა.

საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კონსესუსის მისაღწევად მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ და სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ გამოჩინონ მაქსიმალური ძალისხმევა, რათა ეფექტურად წარიმართოს პოლიტიკური დიალოგი.

უმნიშვნელოვანესია, რომ შერჩეული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფდეს: სამართლიანი, თანასწორი, ფარული, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას. იგი უნდა იყოს მარტივი და ამომრჩევლისათვის საკუთარი ნების დაფიქსირება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს.

პასიური საარჩევნო უფლების საკითხი

საჭიროა საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების მოწესრიგება: ცხოვრების ცენზის მოხსნა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის პასიური საარჩევნო უფლების მინიჭების საკითხი, დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (შშმ), პასიური სარჩევნო უფლების გამოყენების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას თანასწორობის ფონდი, რომელიც დააფინანსებს კონკრეტული შშმ კანდიდატის საჭიროებებს, რათა მან შეძლოს საარჩევნო კამპანიის წარმართვა თანასწორ პირობებში. აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება.

მეტი სიცხადისა და სიზუსტის მისაღწევად კარგი იქნებოდა საარჩევნო კანონში შესწორების შეტანა ქართული ენის ცოდნის შეფასების მექანიზმების დანერგვით, რომელიც სავალდებულო იქნებოდა პარლამენტის წევრობის მსურველი ყველა სუბიექტისათვის. მაშინ, როდესაც ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

გენდერული თანასწორობა

მიგვაჩნია, რომ მეტად მნიშვნელოვანია ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად შემოღებული იქნას ქმედითი მექანიზმები, რაც რეალურად გაზრდის ქალთა წარმომადგენლობას არჩევით თანამდებობებზე. მიგვაჩნია, რომ ერთერთი ქმედითი ნაბიჯი იქნება პროპორციული სისტემისათვის გენდერული ქვოტის შემოღება (სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარდგენის ვალდებულებით).

მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი შეუწყონ შიდა პარტიული ქალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და წინსვლას. გათვალისწინებული უნდა იქნას საერთაშორისო გამოცდილება და შემოღებულ იქნას შიდა პარტიული ქალთა მომზადებისა და დაწინაურების ეფექტური მექანიზმები. მნიშვნელოვანია შემუშავდეს ქალთა პოლიტიკური განათლების სახელმწიფო პროგრამები, რათა ამაღლდეს ქალთა პოლიტიკური მომზადების დონე.

პოლიტიკურ პარტიების დაფინანსება

მიგვაჩნია, რომ გამიჯნული უნდა იქნას პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევა, რაც ადმინისტრაციული შეცდომით არის განპირობებული და განზრახ ჩადენილი სამართალ დარღვევა, რომელთაგან პირველი პროპორციულ სამოქალაქო სანქციებს უნდა ექვემდებარებოდეს, ხოლო უფრო მძიმე განზრახ ჩადენილი დანაშაული სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდეს.

აუცილებელია გადაიხედოს საარჩევნო წლიური ხარჯების საერთო ოდენობა. საჭიროდ მიგვაჩნია მთლიან შიდა პროდუქტთან კავშირის გაუქმება და დადგინდეს რეალური ზედა ზღვარი, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის რაოდენობას და საარჩევნო კამპანიისათვის ხელმისაწვდომ რესურსებს.

უმნიშვნელოვანესია გადაიხედოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რესურსები და კონსტიტუციური მანდატი, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ფინანსური მონიტორინგის განხორციელება და პოლიტიკაში არსებული თანხების მაქსიმალური გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვაია საქართველოს კონსტიტუციიაში განსახორციელებელი ცვლილებების დროს მკაფიოდ იქნას განსაზღვრული პოლიტიკური დაფინანსების სფეროში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება.

საარჩევნო ადმინისტრაცია

მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქცია – მოვალეობები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია. კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივებისა და რიგი ფუნქციების სწორად გადანაწილების პირობებში მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის შემცირება.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს უნდა ქონდეს მინიჭებული კონკრეტული ფუნქცია, ხოლო იმ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა შესაძლებელია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 6 წევრის ნაცვლად დანიშნული იქნას 2, 3, ან 4 წევრი. ამ შემთხვევაში კი, სავალდებულო ნორმად გაიწეროს, რომ ასეთი ტიპის საარჩევნო უბნებზე საუბნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა მოხდეს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრებისგან.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge

კომისიების შემადგენლობის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს არსებული რესურსის უკეთ გადანაწილებას, ადმინისტრაციის წევრებისთვის უკეთესი ანაზღაურებისა და მომზადების შესაძლებლობას.

უმნიშვნელოვანესია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებზე დასწრების ვალდებულების მკაფიო რეგულირება და კონტროლი ზემდგომი საარჩევნო კომისიების მხრიდან. ასევე, პოლიტიკური პარტიების მიერ კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების შეზღუდვა და არსებული ვადების გაზრდა (არჩევნებამდე მინიმუმ 25 დღემდე), რათა მოხერხდეს კომისიის წევრთა სათანადო მომზადების უზრუნველყოფა.

მიგვაჩნია, რომ არსებული სისტემით საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პირობებში (შერეული სისტემა: პროფესიული და პოლიტიკური პარტიების წარმომადგნელები) აუცილებელია დაზუსტდეს საარჩევნო ბლოკისათვის, როგორც საარჩევნო სუბიექტისათვის საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრთა წარდგენის მაქსიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას პოლიტიკური პლურალიზმი საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში, რაც წარმოადგენს პარტიული ნიშნით დანიშნული წევრების წარმომადგენლობის მთავარ არსს.

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი გადახედვას საჭიროებს. გასაუბრება უნდა იყოს კონკურსის სავალდებულო ეტაპი. საჭიროა განისაზღვროს გასაუბრებისა და კანდიდატების შეფასების ობიექტური კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ყოველი კანდიდატის სრულყოფილად შეფასება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. სასურველია ის პირები, რომლებიც უახლოეს, მაგალითად, ბოლო ორ ან სამ არჩევნებზე იყვნენ პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული წევრები, არ დაინიშნონ პროფესიული ნიშნით საარჩევნო კომისიებში.

მნიშვნელოვანია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისათვის შემუშავებულ იქნას ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩევევების შეფასების მარტივი მექანიზმი. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ელექტრონული სწავლებისა და შეფასების სისტემა, რომლიც გავლის აუცილებლობაც კანონით იქნება გათვალისწინებული.

სერტიფიცირების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს ტერიტორიულად ხელმისაწვდომ ადგილებში (ოლქებში - რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით), შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობის გამოყენებით.

მედია

საარჩევნო კამპანიების თავისუფლად და დაბალანსებულად გაშუქებისათვის მნიშვნელოვანია დაცული და უზრუნველყოფილი იქნას მედია საშუალებების დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სანდოობა.

მნიშვნელოვანია მედიის წარმომადგენლების მხრიდან (განსაკუთრებით ონლაინ მედია) მეტად გამახვილდეს ყურადღება ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმები დაცვის მიმართულებით. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას გონივრული ბალანსის დაცვა და ამბის რამოდენიმე წყაროზე დაყრდნობით გაშუქება.

მნიშვნელოვანია ტელემაუწყებლებმა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების მოძიებასა და გაშუქებაში (მათ შორის პარტიების/კანდიდატების პროგრამებსა და სამომავლო ხედვებზე ორიენტირება).

ძალოვან სტრუქტურებს

მნიშვნელოვანია მომავალი არჩევნებისათვის (2017-2018) თანასწორი გარემოს შექმნა, რათა მხარეებმა კამპანიის წარმოება შეუფერხებლად შეძლონ. დაცული უნდა იყოს კამპანიის მონაწილეთა უსაფრთხოება და უფლებები. ამავდროულად აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა გათვალისწინებით, მასების მართვის/კონტროლის სფეროში.

პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის, საზოგადოებრივი და საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის გაზრდა და სამოქალაქო განათლებაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება იმის შესახებ, რომ დევნა, დაშინება და ძალადობა მიუღებელია.

არჩევნების დღის პროცედურების გამარტივება და ამომრჩეველთა სიები

მიგვაჩნია, რომ არჩევნების დღე გადატვირთულია რიგი პროცედურებით, რაც ართულებს პროცესის ადმინისტრირებას, მედიის მიერ არჩვენების გაშუქებას, წარმოადგენს ბიუროკრატიულ მექანიზმებს და მოითხოვს დამატებით რესურსებს. მიგვაჩნია, რომ მარკირების პროცედურის ამოღებით და მედიის მიერ ვიდეო გადაღების შემზღუდველი დადგენილების გაუქმებით, შესაძლებელია არჩევნების დღის პროცედურების მნიშვნელოვნად გამარტივება.

გამომდინარე იქნიდან, რომ მოსახლეობის მიგრაცია, საცხოვრებლის შეცვლა, გარდაცვალება, და სხვა ფაქტობრივი მიზეზები, შეუქცევადი პროცესია საჭიროა სიების სრულყოფის მიზნით აქტივობების გაგრძელება.

აგრეთვე მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით. საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას.

აუცილებელია გარდაცვლილი პირების გამოვლენის მიზნით, ეფექტიანი სამუშაოების წარმოება და ადგილობრივი მუნიციპლიტეტების ჩართულობით, გარდაცვალების ფაქტების აღრიცხვის პროცესის ორგანიზება.

ამომრჩეველთა სიაში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც შესაძლოა ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა მოჰყვეს, საკმარისად ადრე უნდა განხორციელდეს, რათა შესაბამის უწყებებს საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად და ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაციისათვის საკმარისი დრო ჰქონდეთ.

პოლიტიკური რეკლამა

მიგვაჩნია, რომ კანონით უნდა განისაზღვროს ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ზედა ზღვარი. მაუწყებელთა ფინანსური დეკლარაციების მიხედვით დაანგარიშდეს ე.წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის ღირებულება და მოხდეს მისი კომპენსირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge www.CDD.ge info@CDD.ge

ამ ცვლილებების განხორციელება ერთის მხრივ ხელმისაწვდომს გახდის პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ყველა პარტიისთვის, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს მაუწყებლების მდგრადობას. ასევე, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მიეცეთ სპეციალური სარეკლამო ვაუჩერები, რომლითაც ისინი შეძლებენ განათავსონ პოლიტიკური რეკლამა მათთვის სასურველ არხზე. ამგვარი ცვლილება მოუხსნის ე.წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტვირთს კერძო მაუწყებლებს.

მნიშვნელოვანია უფრო მეტად თანაბარი პირობების შექმნა საარჩევნო სუბიექტების მედია წვდომის კუთხით. მიგვაჩნია, რომ უფასო სარეკლამო დრო პოლიტიკურ პარტიებს შორის უნდა გადანაწილდეს უფრო სამართლიანად. ახალ წესში გარკვეული პროპორციით გათვალისწინებული უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ასევე, საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიასა და არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე პარტიებს შორის სარეკლამო დროის განაწილება უნდა მოხდეს დიფერენცირებულად, კერძოდ, ინდივიდუალურად მონაწილე პარტიას შედარებით უფრო მეტი დრო უნდა მიეცეს, რათა თავიდან ავიცილოთ საარჩევნო ბლოკების შექმნის ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენება.

ამომრჩევლის ნების დაფიქსირება –„ხმა ყველას წინააღმდეგ“

ამომრჩეველთა მხრიდან დაფიქსირებული პოზიციისა და მოთხოვნის შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია ამომრჩეველს მიეცეს საშუალება არჩევნების დღეს, სურვილის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში დააფიქსიროს „ხმა ყველას წინააღმდეგ“ ამ შემთხვევაში ნათლად დაფიქსირდება ამომრჩევლის ნება და დღეს არსებული რეგულაციების შესაბამისად მსგავსი ბიულეტენი არ იქნება მიჩნეული ბათილად არამედ ჩაითვლება ამომრჩევლის პოზიციად.